მ . გ. ჯანაშვილი.

გიორგი სააკაძე

და

მისი დრო

ტ ფ ი ლ ი ს ი
ელეკტრო-მბეჭდავი სტამბა არ. კერესელიძისა გაბაევის შესახვევი №1.
1 9 1 4

გიორგი სააკაძე და მისი დრო*)

I. საზოგადო განხილვა

არქანჯელო ლამბერტი (1653 – 1633): იმ დროს საქართველოს სამეფო მიუწევდა სპარსეთის მხრივ **თავრიზამდე** და ოსმალეთის ანე, უკეთ ვთქვათ, სამცხის მსრივ **არზრუმამდე**; კოლხიდის მხრივ კი საქართველოს სამეფო მიუწევდა ყაფამდე, რომელიც ქერსოვნეთშია (ხერსონისს-ყირიმს). ამ მხრივ, საქართველო შეიცავდა თავის სამფლობელოს ქვეშე აფხაზებს, ჩერქეზებს და ჯიქებს. **) საქართველოს სამეფოს რომ ასეთი სივრცე ეჭირა, ამის ცხადი კვალი დღესაც იპოვება იქ. არზრუმის ქალაქის მახლობლად ახლაც ქართული სოფლებია. უწინდელს დროს თვით აშ ქალაქში იჯდა ქართველი ეპისკოპოსი – არზრუმელი. კოლხიდის გარეთ, აფხაზების და ჯიქების ქვეყანაში მშვენიერი ტაძრებია. ქართულად აშენებულნი და ქართულის ზედწარწერებით. ანაკოფიასა და ბიჭვინტაში არის კოლხიდის, გურიის და იმერეთის პატრიარქის საჯდომი. სპარსეთის

*) იბეჭდება უცვლელად, როგორც დაწერილი გვქონდა 1912 წ.

**) Chardin (ამსტერდამის გამოც. 1829 წ., გვ. 120): საქართველოს საზღვრავს აღმოსავლეთით ჩერქეზეთი და-მოსკოვი (რუსეთი), დასავლეთით მცირე სომხეთი, სამხრეთით დიდი სომხეთი. ეს არის ივერია. საქართველოდ ძველად იწოდებოდა ქვეყანა თავრიზიდამ და აზრუმიდამ ტანაისამდე (დონამდე), ეხლა შემცირებულია და შეზღუდული. მისი ნაწილებია იმერეთი, გურია, მესხეთი, კახეთი და ქართლი, რომელსაც ძველი გეოგრაფოსები აზიის ალბანიას უწოდებენ (Albanie asiatique).

იგივეა მე-XII საუკუნის საქართველოს დასავლეთისა და სამხრეთის მხრის საზღვრები ტორნაუს რუქებშიაც.

მხრივაც, თვით თავრიზამდე, როგორც ქართულის ეკლესიების, ისე ქართულის სოფლების ცხადი კვალი დღესაც ჩანს... ერთმა მეფემ, სახელმწიფოს ყოველივე სარგებლობის წინააღმდეგ, საქართველო გაუნაწილა თავისს შვილებს... მალე ოსმალებმა აიღეს აზრუმი და ქვეყნები ტფილისამდე დაიპყრეს, შემდეგ სპარსელებმა დაიჭირეს ქვეყანა თავრიზსა და კახეთს შორის. ამ ქვეყნების დაკარგვის მიზეზით საქართველოს მეფე ისე დასუსტდა, რომ თვითოეული ერისთავი ძლიერებით მეფეს გაუსწორდა. ერისთავები სთვლიდნენ თავიანთ თავს მეფის თანასწორად და ყოველი მათგანი თავის მხრით მეფის დაკნინებას ცდილობდა. უარ ჰყვეს-რა მეფის უფლება, ყოველი მათგან თავიანთ სამთავროს თვით-მპყრობელ ხელმწიფესავით განაგებდა.

იმერეთი. არქანჯელო განაგრძობს (გვ. 18): „ამბობენ, დადიანმა შემდეგი საუბარი დაუწყო ათაბაგს: სულტანმა და ყაენმა ჩვენს მეფეს რომ ჩამოაცალეს ქვეყნები, მას დარჩა მსოლოდ იმერეთი, გურია და ჩემდამი მონდობილი ქვეყანა... დარწმუნებული ვარ, თუ ჩვენ მოვინდომეთ მეფის უფლებისაგან განთავისუფლება და უბრალო მოურავების მაგიერ სრულ ბატონებად გახდომა, ამას ვერც თვითონ მეფე დაგვიშლის თვისის სისუსტის გამო და ვერც ჩვენი ქვეშევრდომები ჩვენდა ერთგულობის გამო. ამ საქმეს მით უფრო ადვილად მოვიყვანთ სისრულეში, თუ ჩემსა და შენს ძალას შევაერთებთ... ათაბაგი ამ ამბავმა აღტაცებაში მოიყვანა, რადგან ამისთანა განზრახვა მას დიდი ხანია ჰქონდა გულში, ამიტომაც სიყვარულით გადაეხვია დადიანს“.

დადიანად იყო მანუჩარისძე ლევან, რომელიც ჯერ 14-ის წლისაც არ იყო (იქვე, გვ. 21). ხელმძღვანელად დაუდგინეს ბიძა გიორგი ლიპარტიანი. ეს იყო ნამდვილი სახელმწიფო კაცი და მისს ხელმძღვანელობით სამეგრელოს საქმეები კარგათ წარიმართებოდა. ლევანმა შეირთო აფსაზეთის მთავრის ქალი, რომლისაგან ეყოლა ორი ვაჟი. მალე ლევანმა შეიყვარა ბიძის გიორგი ლიპარტიანის ცოლი ჭილაძის ქალი დარეჯანი, ხოლო მისს ცოლს დედოფალს კი კურკური დაუწვი მისმა პირველმა ვეზირმა პაპუნამ. შეიტყო-რა

ლევანმა, ცოლს გაეყარა, ცხვირი მოსჭრა, მამისას წაიყვანა. იქაური სოფლები აიკლო, ცოლი იქ დააგდო და დაბრუნდა! ბიძის ცოლი დარეჯანი შინ მიიყვანა, მასზე ჯვარი დაიწერა. ასტყდა დიდი შფოთი. გურიელი, ვეზირი პაპუნა, იმერეთის მეფე და აფხაზთა მთავარი მტრად გაუხდნენ დადიანს და მის ძმის იოსების გადადიანება მოინდომეს. ლევანმა დიდი სასტიკობა გამოიჩინა იმათ წინააღმდეგ, რომელთაც მოინდომეს მისი მოკვლა. ზოგი აწამებინა, ზობს ხელფეხი დააჭრევინა, ვეზირი კი დაახჩობინა, მერე ზარბაზანში ჩაადებინა, გაასროლინა და ნაკუწ-ნაკუწ აქცევინა, თავის ძმას იოსებს თვალები დასთხარაა, მერე გაილაშქრა თავის სიძის გურიელის წინააღმდეგ. ცოლი და შვილი წაართვა, დაატყვევა და გურიელობა მის ბიძას მალაქიას გადასცა; შემდეგ იბრუნა პირი აფხაზეთისკენ, დაამარცხა აფხაზნი და დახარკა. ახლა იმერეთს მოადგა. მეფე ქუთაისში გამაგრდა. იმერეთი ვერ დაიპყრა ლევანმა, მაგრამ ისე დაა-

სუსტა, რომ სამეგრელოს ბევრად ჩამოუვარდებოდა ძალ-ღონით.

იმერთა მეფე გიორგი ძრიელ სწუხდა, რომ მისს სამეფოში გავრცელებული იყო მრავალგვარი ბოროტება: ტყვეების ყიდვა, უმიზეზოდ ცოლქმრობის დარღვევა, კვლა, ცარცვა და სხ. **შარდენი**: სამეგრელოში დღეს 20,000 მკვიდრია, ხოლო 30 წლის წინად კი 80,000 იყო. ამის მიზეზი არის განუწყვეტელი ომები და ტყვეთა ყიდვა. სამეგრელო ყოველ წლივ ჰკარგავდს 12,000 მცხოვრებს, რომელთაც ან ფულად ჰყიდიას, ან საქონელზე სცვლიან. უბედურნი ტყვენი ხელში უცვივიან ოსმალთ ანუ სპარსელთ. მარტო კოსტანტინეპოლს ყოველ წლივ იგზავნება 3000 ტყვე **-თეიმურაზის** ჩვენება: დადიანი ყოველ წლივ ჰყიდის 10.000-15,000 ტყვეს. გურიიდამ ყოველწლივ ტყვეთ გადის 10,000-12,000-მდე.

ამ და სსვა ბოროტების მოსასპობად გიორგი მეფემ მოიწვია სამღვდელოთა კრება, რომელმაც „განაჩინა მოქმედთა მათთათვის ჯეროვანი შერისხვანი, დასწერნეს და შეაჩვენნეს მოქმედნი მისნი“ (იხ. ვახტანგის სამართლის წიგნში „კათალიკოზის დადგენილებანი).»

მესხეთი. მესხეთის მმართველებს ათაბაგი ეწოდათ თამარ მეფის დროითგან. მალე იგინი დამოუკიდებელ მთავრებად შეიქმნენ

ანუ სურდათ, რომ ყოფილიყვნენ. ქაიხოსროს ათაბაგობაში (1500 – 1502) აზრუმ-ტრაპიზონის ფაშებმა იწყეს კირთება ჭანეთისა და საათაბაგოსი. სულთნის სარასკარი (სპასალარი) სულეიმან შემოვიდა სამცხეში. მას მიემხრო მზეჭაბუკ ათაბაგი და წაუძღვა იმერეთს. სამაგიეროდ შემდეგ იმერთა მეფე ბაგრატ მიუხტა ათაბაგ ყვარყვარეს და დაამარცხა იგი მურჯახეთს 1535 წელს. დამარცხებულის შვილი ქაიხოსრო შალიკაშვილმა წაიყვანა სტამბოლს და ხონთქარს მოახსენა ყოველი. იგი ეუბნებოდა ოსმალთ: „უკეთუ დაიპყრათ ციხენი (მესხეთისა), გერჩდეს ქუეყანა ესე საუკუნოდ“. ხონთქარმა გამოგზავნა დიდი ლაშქარი მძიმე-მძიმე ზარბაზნებით. მეფეები შეებნენ, იძლივნენ, ოსმალნი შემოვიდნენ, დაიპყრეს ციხენი საათაბაგოსანი. გაათაბაგდა ქაიხოსრო და შეირთო ცოლად დედისიმედი, დაი მუხრანბატონისა. იგი დაუმეგობრდა ყაენს. სულთანი გაჯავრდა და დაიჭირა ტაო, არტანუჯი არსიანამდე, ფარავანი და არტანი (1552 წ.). ყაენი დაუყოვნებლივ მოვიდა, ჩავლო ქართლი, აიღო ვარძია, თმოგვი, ვანისქვაბნი, ასპინძა, ვარენთა, სრულიად სამცხის ციხენი, ჯარი ჩააყენა და წავიდა. ხონთქარმა ააშენა კარი, მოსრნა ურჩხი, უკუნ-იქცა და დადგა ბასიანს (1556 წ.) ყაენმა ხელახლა შემუსრა სამცხე, მაგრამ მერე ხონთქარს დაუთმო სამცხე საათაბაგო, ყარსი და იმერეთი (1574 წ.). 1625 წელს ბიძამ ბექამ მოწამლა ათაბაგი მანუჩარ და წავიდა სტამბოლს. ხონთქარმა გაამაჰმადიანა, ფაშობა უბოძა, სახელი გამოუცვალა (იწოდა საფარ-ფაშად) და გამოისტუმრა ათაბაგად ახალციხეს. საფარ-ფაშამ შემოიღო ოსმალთა წესები. ეკლესიებმა იწყეს მოშლა. მათ მაგიერ ჯამეებს აშენებდნენ. ერმა იწყო ქართველობიდამ გამოვარდნა, მაჰმადიანობა. ქართულ ენას გზა შეეკრა. დიდებული ტაძრები დაკნინდნენ, იწყეს რღვევა. წიგნი, ხატები და სიწმინდენი ზოგი გაოხრეს, (ზოგი გაზიდეს ქართლ-იმერეთს. დიდებულნი, რომელთაც შჯულის გამოცვლა არ

უნდოდათ, ქართლ-იმერეთში მიდიოდნენ. ამ ქართველობიდგან გამოვარდნილ საფარ-ფაშას ეწვია სააკაძე გიორგი, ითხოვა ჯარი და იმერთა რაზმითურთ წაიყვანა ბაზალეთს, იქ დამარცხების შემდეგ დაბრუნდა და საფარ-ფაშამ გაისტუმრა სტამბოლს. სამცხესვე მოურავს სააკაძეს სიძედ

ჰყვანდა ფარად-ფაშა... ხონთქარმა ბრძანება გასცა, რომ სამცხე-საათაბაგოში ყველა გამაჰმადიანებულის ცოლ-შვილიც გამაჰმადიანდესო. როსტომ ფაშის (ათაბაგის) ცოლმა რომ გაიგო ქალებსაც გვათათრებენო, შეწუხდა ფრიად, თავის მოკვლა მოინდომა კლდიდამ გადმოვარდნით, მაგრამ დაიჭირეს, ხან სტანჯეს, ხან დაუყვავეს და აიძულეს ეთქვა: „უკეთუ დაატევებინოთ ყოველთა წარჩინებულთა ცოლებსა უწინარეს ქრისტე, მერმე დაუტეო მეცა, უკეთუ არა, არცა მე“. ყველახი გამაჰმადიანდნენ. იქმნა რისხვა ღვთისა: აწ უმეტესადრე მოოხრდნენ ეკლესიანი დიდ შვენიერნი და იქმნებოდნენ პირუტყვთა სადგურ და ივლტოდიან კვალადცა, რომელთა არა ინებეს მაჰმადიანობა, ქართლს, იმერეთს, გურიას, კახეთს, და წარაქვნდათ ხატნი, ჯვარნი და წმ. ნაწილნი, მოისპებოდნენ ეპისკოპოსნი, თუ სადამე იყო, და მონაზონნი და მწყემსნი.ხოლო ადგილ-ადგილ იპოვებოდნენ მღვდელნი, და შეიქმნა სრულიად მაჰმადიანობა წესითა და სჯულითა მათითა, და აღშენდებოდიან მეჩითნი. არამედ დაშთნენ გლეხნი და იგინიცა უმწყსელნი, ვითარცა პირუტყვნი. კვალად ჟამსავე ამისსა (როსტომ-ფაშა ათაბაგის) განაწესეს სპანი და შეჰკვეთნეს მამულიანთა გამოსაღებითა: ფაშას, ბეგს, ალაი-ბეგს, სანჯახს და აღას“ (ვახუშტი, I69).

ასე, 1626 წელს ანუ ამ წლიდამ დიდებულს მესხეთში, შოთას სამშობლოში, მოიშალა 12 საეპისკოპოსო და ერთი სამიტრაპოლიტო (მაწყვერელი, კუმურდოელი, იშხნელი, ანჩელი, მტბევარი, წურჩწყაბელი, წყაროსთაველი, ერუშნელი, ვალაშკერტელი, ანელი, კარელი, ბანელი, დადაშნელი). აქ გამოვარდა ქართველობიდამ 200,000 ზედაც მეტი ქართველი.

ამერეთი იყოფებოდა ორ სამეფოდ – კახეთისა და ქართლისად, ორ საერისთაოდ – ქსნისა და არაგვისა, ერთ სასულთნოდ – საინგილო, ამას გარდა მთავრობდნენ ანუ მოურაობდნენ სსვა და სხვა პირნი საბარათიანოში, საციციანოში, მუხრანში, ცხინვას-დვალეთში, ქართლის მეფის ლუარსაბ II-ის გამგეობაში ძლივს-ღა იყო მტკვრის ნაპირები ტფილისიდამ სურამამდე. ამისთანა დაკნინებას გრძნობდა ჯერ ისევ მეფე კოსტანტინე (1469-1505) და ამიტომ მოიწვია

-რა ტფილისს კათალიკოზი, ეპისკოპოსნი და წარჩინებულნი, თათბირი გამართა მათთან კითსვაზე: „რაი ჰყონ განდგომილებისათვის ქვეყანათა და ვითარ მოაგონ კვალად მეფობასავე თვისსა". დიდებულებმა მოახსენეს: „ვინათგან მტკიცედ დგანან ერთგულობასა ზედა თვისთა რჩეულთა მეფეთა იმერნი და კახნი და კვალად ათაბაგსა სამცხელნი, ამისთვის არა განგიზრახავთ ბრძოლასა: რამეთუ თუმცა მრე ვექმნეთ ერთსა, არღარა მოგვცემს მეორე ნებასა, არა-

მედ ვაცადოთ ჟამი, უკეთუ კვალად აგოს ღმერთმან მეფობასავე შენსა“. ხოლო იხილა-რა ესე ვითარება **თვისთაგანცა** მეფემან, ამისთვის აღირჩია მშვიდობა“ (ვახუშტი, 15).

კახეთისა და ქართლის მეფეებ შორის განუწყვეტელი ჩსუბი, მესისხლეობა იყო იმთავითგანვე. მეტად ავად ეპყრობოდა ქართლს კახეთის მეფე ავგიორგი, მებრძოლი კახელები დაიჭირეს ქართლელებმა, მცხეთას სვეტი-ცხოველში შერეკეს, დააჩოქეს და დააფიცეს: „ამიერიდგან კახელ კაცს გაუმარჯვნიაო ქართლელ კაცზე“. მაგრამ მძლავრობისთვის, შინაობაში მაინც ხელი არ დაუნებებიათ. 1574 წელს ალექსანდრემ დახოცა თავისი ძმები და გამეფდა კახეთში. სისხლმა სისხლი მოიტანა. 1603 წელს მისმა შვილმა გიორგიმ იგი დაამხო და თვითონ გამეფდა, მაგრამ მას წამოედავა ძმა დავითი, დაამწყვდია, მამაც შეიპყრო და თვითონ გახელმწიფდა. იმეფა სულ 6 თვეს და მოკვდა. ქეთევანისაგან მას დარჩა ვაჟი თეიმურაზი, რომელიც წარგზავნეს ყაენის აბაზის კარზე და იქ გამოიზარდა. ყაენმა დიდის ჯარით მეფედ კახეთისა გამოგზავნა ალექსანდრესივე შვილი გამაჰმადიანებული კოსტანტინე. ამან მოტყუებით მიიწვია ბანაკში მამა და ძმა და ორთავე დაახოცინა, და რძალს ქეთევანს შეუთვალა – ჩემზე გამოთხოვდიო. კახელებმა ქეთევანი მეფედ დაისვეს და კოსტანტინე მოჰკლეს. ვიდრე მას მოჰკლავდნენ, იგი რუსის ხემწიფის ელჩებთან ასრე მართლულობდა: „მამა ჩემი ჩხუბში მოჰკლესო, ხოლო ჩემი ძმა გიორგი ახად მოიკლა: იგი თქვენი ხელმწიფისა და ყაენის მოღალატე იყოო. მან ფაშის ქალი შეირთოო, მათს სპასალარს ელაპარაკებოდაო, მათი ქვეშევრდომობა სწადდაო და ეს ყაენმა კარგა იცოდაო (ბელოკუროვი, 487).

არჩილ მეფე მას შვიდ-გზის წყეულად იხსენიებს, და სწერს:

„კოსტანტინეს თან- ხლებოდა შარვანელი და ყაჯარი
ბაზარს იდგა. წამოვიდა ეშმაკისგან დასაჯარი
აქეთ ამას შეეყარა თვისნი ყმანი, კახთა ჯარი.
შებმულ იყვნენ, მოცაეკლათ, თუმც ეხმარა ხმალ ხანჯარი“.

ეს მის მემდეგ, როდესაც ბაზარში მდგარს „შვიდ-გზის წყეულს“ ღალატით მოეკლა თვისი მამა და ძმა, ერთს მოაბაში („პალანკინში“) ჩაედვა ორთავეს გვამები და მათზე დაეჩეხა მათნი მხლებელნი ორნი ძმანი რუსთველი და აბელი (1605 წ.).

საკვირველი ოჯახი იყო ის, რომლის რძლობა ბედმა არგუნა დიდებულს ქალს ქეთევან დედოფალს. ამის მამამთილი მეფე ალექსანდრე (კოსტანტინეს-მიერ მოკლული) მონადირე კაცი იყო და რადგან მჭიდროდ მოსახლეობის გამო სანადიროები ძალიან ნაკლებად იყო აშენებულს კახეთში, ამიტომ იგი გულდაწყვეტილი ამბობდა ხოლმე: „ახ, ნეტარძი ოხერ მექმნეს კახეთი, რათა მაქვნდეს სანადირონი მრავლად“ (ქართლ. ცხ., გვ. 110). მისი ნატვრა ასრულდაო მის შვილის-შვილის თეიმურაზის მეფობაშიო, შენიშნავს მემატიანე.

ამისთანა კაცის ხელმი იყო კახეთი, როდესაც ერევანს მოვიდა ყაენი აბაზ (1602 წ.) და. დაიბარა იქ თვით ეს ალექსანდრე მეფე და აგრეთვე ქართლის მეფე გიორგი. პირველს ყაენმა ჩამოართო კაკ ელისენი (საინგილო) და მეორეს ლორი და აღჯაყალა-ბერდუჯი, საცა დაასახლა ელი ბორჩალო.

მას აქეთ კაკში გასულთანდნეხ ვახახიშვილები, რომელთაც მაჰმადიანობა მიიღეს, ყაენს აღუთქვეს მორჩილება. პირველ სულთნად იყო ალიბეგი. ეს დასახლდა ელისოს სიმაგრეში, გაამაგრა დაღისტნის კარი სარუბაში და კახეთის მეფეს თავს აღარ უკრავდა. იგი ერია იმ ქართველ დიდებულთა რიცხვში, რომელნიც მოუძღვნენ შაჰ-აბაზს.

მეფე თეიმურაზი მას გაუწყრა და მისი დასჯა მოინდომა

„გამიწყრა ოდეს ყაენი, მოჰყვა, წახეთს*) ვინა ზისა,
ალიბეგ სახელდებული, პატრონი სარუბაშისა.
მისი მამინდა პასუხი, ჩვენება ჩემის რაზმისა
მალ შევანანე სიკვდილით მოყოლა შაჰაბაზისა

„ევლოთ, მისლოდნენ სარუბაშს... **)
თავი მოსჭრეს ალიბეგსა, შეუზახეს: „იდევ აგრე!
ვით გმართებდა შექმნილ იყავ შაჰ აბაზის შენ მოსაგრე“?
მოვიდნენ, თავი მომართვეს (არჩილიანი, 118).

ასე იყო, მაგრამ ალიბეგის დინასტია მის სიკვდილით არ მოსპობილა. მის მემკვიდრეებმა დაიპყრეს დიდი, ფრიად მდიდარი კუთხე საქართველოსი და ქართველობა გაამაჰმადიანეს. მათ უკუღმართობისა გამო თიიქმის მთელის 200 ვერსის მანძილზე დღეს საინგილოში ქართველობს რაღაც 5000-მდე სული დხ 9,600-მდე სული კი აღარ ნაღვლობს, რომ დაუბრუნდეს მამა-პაპათა შჯულს, გვარ-ტომს. წინანდელი ციხეები, კოშკები, საყდრები და ქალაქები კი ნანგრევად ჰგიან.

ქართლს მაშინ ლუარსაბ მეფეს გარდა, პატრონობდნენ არაგვის ერისთავი ნუგზარ, ქსნისა იესე, ცხინვალ-დვალეთს განაგებდა გიორგი საკაძე, რომელიც ტფილისის მოურავიც იყო, საბარათიანოში პირველობდა შადიმანი, მუხრანში მუხრან-ბატონები და ნუგზარის პაპამ ქსნის ერისთავის დახმარებით ამოწყვიტა არაგვ-ბაზალეთის მფლობელები თექთურმანიძე და ჭარმეული და დაიჭირა სიმაგრე ბაზალეთი! თვით ნუგზარი იყო საშინელი მტარვალი. მან მოჰკლა თავისი ბიძა, მამის მკვლელი, და გაერისთავდა დუშეთშა. პლატონ იოსელიანი განაგრძობს (Описаніе гор. Душета, 37): იწყება ბნელი სურათი დუშეთისა და არაგვის მხრისა უფლე-

*) იგივე წუქეთი, აწინდელი წახური.

**) დაშორებულია სოფ. კახზე 20 ვერსით. დაღისტანს გადასასვლელ კარად ითვლება.

ბასა ქვეშე უვიც დესპოტიზმისა. მშვიდობიან დუშეთის ნიადაგზე, მორწყულზე მის მფლობელების სისხლით, იკვების საცხოვრებელი ცოფიან ნუგზარისა და იკალათებს მისი დინასტია მემკვიდრეობით და დასაწყისით ყოველგვარ ძალმომრეობისა, საშინელებისა, ერის თრთოლისა, სისხლის დაქცევისა, გარყვნილობისა, ღალატისა, ფიცის გატეხისა.

«ნუგზარი არ კმაყოფილდება დუშეთისა ანუ ბაზალეთის ნაწილით, მალე იპყრობს მთიულეთსაც და ყველა მცხოვრებლებს არაგვის გაყოლება, ხდება რა ძლიერ ვასსალად, ჰფიქრობს თავის შვილს შერთოს ცოლად შეფის ლუარსაბ II-ის და, ხოლო უთვლიან რა უარს, ემხრობა თავის სიძის გიორგი სააკაძის პარტიას წინააღმდეგ მეფე ლუარსაბისა. ნუგზარი დიდი მოსაქმე იყო აბაზ ყაენის მიერ საქართველოს აოხრების ხანაში. ბეჭედი მისის სისხლის ღვრით მფლობელობისა დღევანდლამდის გაიმეორების ხალხის მიერ:

„ნუგზარ ერისთვის დროსაო –
სისხლის წვიმების დროსაო!“

„ლუარსაბ II-ის დროს ნუგზარი წავიდა სპარსეთს, საცა შაჰ-აბაზმა ყოველის პატივით მიიღო. დაბრუნდა რა საქართველოში, ცხადლივ უდალატა მეფეს და თავის რაზმით ეახლა განჯას მოსულს შაჰ აბაზს, რომელიც მოიმართებოდა საქართველოსკენ მტკიცე გარდაწყვეტილებით შის დასაპყრობად და გასამაჰმადიანებლად. უბედურებანი ამ ლაშქრობისაგან ცნობილია“. (იქვე).

ნუგზარი რომ გარდაიცვალა, მის მოადგილედ გამოჩნდა მისი შვილი ბაადური (1619 წლის წინა წლებში). მას წაედავა მისი ძმა ზურაბი, სააკაძის ცოლის ძმა და მის მიერვე გაზდილი. თვით სააკაძე ამბობს: „იზურაბს შევსთვალე: „რაც იცი, სრულ ჩემი ნასწავლებია'“ (ტ. 287). ამ ზურაბს შაჰ აბაზის კარზე მყოფმა გ. სააკაძემ მოსწერა: ნუგზარის სიკვდილი იქნება ერის დაღუპვად. უკვე აღარ არის რკინის ხელი, რომელიც იჭერდა სამეფოს მშვიდობას, აღარ არის წინამძღოლი, რომელზედაც ემყარა იმედი ერისა და ჩემი საკუთარი. შენი ძმა ბაადური, რომელმაც დაიჭირა ადგილი

არაგვის სამთავროს მფლობელისა, სუსტია ტანითაც და სულითაც. შენ ღა, ზურაბ, საყვარელო ჩემო შვილო, ზრდილო ჩემო ყმობიდანვე, შწიფდებოდი სომო საქმეებისთვის. მოდი ჩემთან, წარსდგი წინაშე დიდის ყაენისა და შეიმოსე აქ, წინაშე უმაღლესისა ტახტისა, წოდებითაც და უფლებითაც მფლობელისა" (ეს ამოღებულია ყოვლად სამღვდელო ნიკიფორეს ხელნაწერიდამ პლ. იოსელიანის მიერ. Жизнь в. моур,. გვ. 49). ზურაბი სიხარულით წავიდა თავის სახობითურთ. ყაენმა მისცა. დაბრუნდა. დაამარცხა ბაადური (ეს გაიქცა იმერეთს, საჩინოს). ზურაბი დამკვიდრდა დუშეთში და მალე დაიპყრა ხევი დარიალამდის, რომელიც მანამდე ქართლის მეფეთა გვირგვინს ეკუთვნოდა. მას არ უნდოდა ქართლში ემეფნა სვიმონს, ამიტომ საძაგელი საქმე ჩაიდინა: ღამე შევიდა ცხვილოსის ციხეში,

საცა ეძინა მეფეს, მოჰკლა იგი (1629 წელს), და მისი თავი წა-
რუგზავნა თავისს სიმამრს თეიმურაზს. ხოლო თეიმურაზმა მოაკ-
ვლევინა სიძე და მისი ქვრივი მიათხოვა იმერეთის მეფის ძეს
ალექსანდრეს. (პლ. იოსელიანი Описаніе Душета, გვ. 38).

1625 წელს მეზობელ ფეოდალებმა ამოწყვიტეს დედაბუდია-
ნად რეხულის მფლობელი ღაზნელი,რომელსაც დიდებული სადგური
ჰქონდა ღაზნას.

უარესი საქმე დაემართა ქველს წერეთელს.

„ქველს წერეთელსა ებრძანა ადვილად ჩემი მუქარა,
მიუხე, დავსწვი, დავსდაგე, ადვილ წაუხდა რუქარა
წამოველ, უკან მომდივა, ნიავმან ვეღარ უქარა:
შევსძახე: „ცუდად გაგიცუდდა – გლახ;შენი ბაქი-ბექარა“.
ახლოს მომართა საბრძოლად... -
ორი ისარი გულსა ვკარ, ხსენება შექმნა დედისა“!
(იოსებ ტფ, ტ. 268).

დიაღ, შავ-ბნელი იყო ეს დრო: ტლანქი ძალა პარპაშებდა
საქართველოს სიგრძე-სიგანეზე...

II

გიორგი სააკაძე

აწ ზაფრანაა, ვის წინა
ვერ ვარდი ჰგვანდეს, ვერ ია.
შოთა რუსთაველი.

რამდენი ხანია, ისმოდა, ახალი შესანიშნავი თხზულებები გა-
მოდისო შესახებ გიორგი სააკაძისა, ეს თხზულებები წაიკითხეთო და
ნახავთო, რა ცილებს სწამებენო ჩვენს „ჰანნიბალს“, უზენაესს
გმირს, რომლის ბადალი ჯერარ მოუციაო მსოფლიო ისტორიას“,
იმას, რომელსაც „მე ლოცვა როშ შემეძლოს, ყოველდღე ხელაპყრო-
ბილი შეववედრიდი ზეცას: გიორგი სააკაძისთანა პირები ბლომად
მოუვლინე ბედკრულ საქართველოს მეთქი“. ესეთი რამეები გვესმო-
და, ჩვენც გვიხაროდა, ადბად, ახალი საბუთები გამოაჩინესო მოურა-
ვის შესახებ, და წინდაწინვე ვსიამოვნებდით: მადლობა ღმერთს,
რასაც იმთავითვე გულით ვნატრობდით, ის შეგვისრულდება, ქარ-
თველ გმირთა სავანეს კიდევ ვრთი გმირი შეემატებაო, მოურავ სა-
აკაძეს მოეწმინდება ის მწიკვლი, რომელსაც მას გამეტებულად და
ერთხმად სცხებენო ყველა არსებული წყაროები, ჩვენებურები და
უცხოურები, და ამ წყაროებზე დამყარებულნი იგეთი სახელოვანი
პირნი, ვით ვახუშტი, ანტონი კათალიკოზი, ერეკლე II, ბროსსე,
პლ. იოსელიანი, სიმ. ღოღობერიძე და სხ. დიაღ, ასრეთ შთაბეჭ-
დილებას ახდენდა ჩვენზე ყვირილი და ღაღადებანი „გმირის“ სააკა-

ძის შესახებ, მაგრამ როგორ მოვტყუვდით! არათუ ახალი რამ გვი-

ბოძეს, არამედ ძველებიც ისე ვერ გადმოგვცეს, როგორც სუფევენ, და თანაც ცილისმწამებლად მონათლეს თითქმის ყველა ზემოხსენებული პირები ჯანაშვილითურთ, რომელსაც, ამასთანავე, სააკაძეს ერთმა მეხოტბემ მზაკვარი და ბინძური ხელიანი უწოდა.

არა ღირს აქ იმათზე ლაპარაკი, რომელნიც სააკაძის ხოტბას ამყარებენ არა ისტორიულ ფაკტებზე, არამედ ბ-ნ ა. ფურცელაძის წიგნზე „ბრძოლა საქართველოს მოსასპობად და საქართველოს საერთებლად ანუ გიორგი სააკაძე და მისი დრო“, რომელიც დაწერილია ძველანდელ აზნაურულ „უჩემოთ ვინ იმღერეთას“ კილოზე და ალიცლიცებულია „იწილო-ბიწილო შროშანო გვრიტინოთი“ უფრო, ვიდრე გამოსადეგარ ცნობებით.

სააკაძის ამბავი ჩაქსოვილია მეს-17 საუკ. დამდეგის მკსინვარეების ხანას ისტორიაში (ის. ქვემო) და აქ კი ჩემ თავს ნებას ვაძლევ ორიოდე სიტყვა ვთქვა იმის შესახებ, თუ რა და რაებს გვწამებს ბ. ფურცელაძე და როგორ ეპყრობა ისტორიულ მასალას.

„ამას (განგებ შეთხზვას ცილებისას, სხვის სიტყვების განგებ გადაკეთებას, განგებ ჩირქის მოცხებას და ტალახში მოსვრას, ქვეყნის ხსნის ქვეყნის დაღუპვად გადაკეთებას და სხ.) – ამას ვხედავთ მარტო ჯანაშვილში და ხახანაშვილში, რომელიცარ უკადრია ჯერ არა ქვეყნის მეისტორიეს“ (ბრძ, 416).

აქ არ შევჩერდებით იმ წვრილმანებზე, რომ ჩვენ 1894 წელს დავნდობივართ ვახუშტის და ლელა დაგვიწერია ბაგრატის დად და არა ლუარსაბისა, იარალის მოკვლა აღგვინიშნავს თრიალეთზე და არა სხერტის ჭალაში. ამისთანა რამეებს და აგრეთვე იმასაც, სააკაძისაგან ოსეთის გატეხის დროს თამაზ მაჩაბელი მისი მშველელი იყო თუ მოწინააღმდეგე, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმ კითხვის გამოსარკვევად, თუ როგორი კაცი იყო მოურავი ყველა, ეს რომ შეცდომაც იყოს ჩვენი ან და ვახუშტის lapsis calami, კიდევ რჩება მრავალი მასალა სააკაძის პიროვნობის გამოსამზევებლად, მის დროის გასაშუქებლად.

ჩვენს „საქართ. ისტორიაში“ სიტყვებია: „გიორგი მეფის დროს მათ (სააკაძეებს) მიეცათ თავადობის ხარისხი 1503 წელს“

ამას დაურთავს ბ. ფურცელაძე: „უნდა იყვეს 1603 წ., რადგან გიორგი მეფე მაშინ იყო“. ჩვენ ხსენებული ცნობა სააკაძეს გვარტომობის შესახებ სიტყვა-სიტყვით ამოღებელი გვაქვს ერეკლე მეფის თავად-აზნაურთა სიებიდამ (იხ. ქვემო).

ჩვენ გვიხმარია: „შაჰ აბაზ ყაენმა“. ფურცელაძე შენიშნავს: „შაჰ-აბაზ სახელი ჰგონია ჯანაშვილს-ო“ (421).

ამ შემთხვევაში ჩვენ მივდევთ ქართ. ქრონიკების ტერმინოლოღიას, რომელნიც სწერენ: „შაჰ თამაზ ყაენი“ (პარიჟ. ქრ., 9), „ყაენი მაჰ-აბაზ მოკვდა“ (იქვე, 11), „დასვეს ყაენათ შაჰ-ისმაილ“, „შაჰ-აბაზ ყაენთან წავიდა ბატონი თეიმურაზ“ (იქვე, 27) და სხ.

ამისთანა რამეებით „სრული უვიცობის“ დამტკიცება. ყოვლად შეუძლებელია. ვნახოთ ახლა, რა ფასისაა ბ. ფურცელაძის სხვა უფრო სხვილმანი, ჩვენის „სრულ უვიცობის" დამამტკიცებელი რამეები. .

ა. თავის წიგნში ბ. ფურცელაძე სწერს (გვ. 427): „გადავიდეთ ჯანაშვილის განგებ მოგონილს და შეთხზულს შეზავებულს ცილებზე“.

აქ ნიმუშად მოჰყავს ჩვენი „საქ. ისტორიიდამ“ სიტყვები: სააკაძე დედაწულიანად გაიქცა თავის სიმამრთან დაპარული ცხენებით“. ცხენების დაპარვის ამბავი ჩვენ სიტყვა-სიტყვით ამოვიღეთ სააკაძის მეხოტბის იოსებ თბილელის წიგნიდამ და აგრეთვე პარიჟის ქრონიკიდამ. შეად.

ჩვენი ისტ. გვ. 289:	**ი. თბილელი ტაეპი 118**
კაცნი ჩავგზავნე: მათ შვიდი ცხენი დაჰპარეს, ჩვენთვის სასხდომად კმარისა. . .	კაცნი ჩავგზავნე... მათ შვიდი ცხენი დაჰპარეს, ჩვენთვის სასხდომად კმარისა.

მაშასადამე, არც არა „განგებ“ მოგვიგონია და არცარა „შეგვითხზავ-შეგვიზავებია“.

თუ გნებავთ სიმართლე, თვითონ ფურცელაძესვე „შეუზავებია“ რაღაცა,რადგან სწერს, ნოსტედამ რომ ცოლშვილი გამოიტაცა,

„40 ვერსი მეტი ტყე-ტყე ირბინეს“, „ქანც მოწყვეტილი“ რომ იყვნენ, „მაშინ მისთა მხლებელთა დაჰპარეს ცხეთის ხიდზედ მის დასაჭერად დაყენებულთ მცავებთა ცხენები“ (ბრძ., 428).

ესეც არ მართლდება არც ერთის წყაროთი და არც იმავე იოსებ თბილელით.

118 ტაეპში ცხენების დაპარვაზეა ლაპარაკი.

119-ში წავკისს დგომაზე.

120-ში: „გოსთიბეს იყო სხვა ჩემი ზოვნად ულაყი ცხენია, ზოგზოგი თოხარიკები“.

121-ში: „ყმათ მითხრეს: „სითკენ წავიდეთ“. მე უთხარ: დიდგორს მივმართოთ“.

122: „ყმათ უთხარ: დიდგორს მივმართოთ“.

I23: „ქალნი და კაცნი... შევკრბით დღემ რა ქმნა ბინდება“.

124: იმ ღამეს წავვლეთ დიდგორი.

125: თელოვნის თავს ხშირს ტყეში მცირე დგას ტბისა გუბენი; აქ გაგვითენდა.

126: ღამეა...

127: კარსანის თავსა წავვლევით, სად ახალქალაქურია.

128 } იქიდამ კაცი ჩავგზავნე ხიდის გზის
129 } შემტყობარია.

130: ხიდზე ჩავიდა, გასინჯა, 60 კაცი ფრთხილობდა, ერთიცა არა ძილობდა.
131-133: რჩევა, რა ქნან, გადასწყვიტეს, მტკვარში გავიდეთო.
134-135: ხიდის ბოლოს შესცურეს და გავიდნენ და გადარჩნენ.

არსაიდგან არ სჩანს, რომ „40 ვერსის“ გავლილებმა ცხენები დაჰპარეს „ცხეთის ხიდის მცავებს“.

ბ. „შემდგომ ანტონ I-ლი კათალიკოზისა და ვახუშტის ცილებისა, ფრანცუზის მოგზაურნი და მწერალნი – ყველანი ერთხმივ,

გარდა თითქმის თანამედროვე ქართველთ მწერალთა არჩილ მეფისა, იოსებ თბილელისა. თვით თეიმურაზ მეფისა და თანამედროვე მეისტორიე სპარსის ისკანდერ მუნჯისა, – დარწმუნებით ლაპარაკობენ სააკაძის მუხანათობასა, ქვეყნის გამცემლობას.ა და სხვა ამისთანაობაზე“ (ბრძოლა, 6). .

ანტონ კათალიკოზი დაიბადა 1716 წელს, ვახუშტი ისტორიას სწერდა 1730 წლის შემდეგ. ამათი „ცილები“ როგორ „შეაცდენდნენ“ სააკაძის თანამედროვეებს, მაგალ., თუნდ დელლავალლეს, რომელმაც 1627 წელს პაპისადმი წარდგენილს ანგარიშში ჩაურთო ცხობები მოურავის მუხანათობის შესახებ (იხ. ქვემოთ).

„ვახუშტისაც და პლატონსაც ხელისმძღვანელად ჰქონდათ სააკაძის ისტორიის შესახებ მეტში წიგნი იოსებ თბილელისა „დიდიმოურავიანი“ (ბრძ., 9).

„ამ დავთრების დაკარგვაში უმთავრესი ადგილი ეჭირა არაქელს, რომელმაც შეიყვანა შეცდომაში თვით ვახუშტი, ანტონ კათალიკოზი და სხვანი, მათ შორის ბროსსეც და ბროსსეს ისტორიის მთარგმნელი სვიმონ ღოღობერიძეც“ (ბრძ., 23).

მოდი და გაიგე, ვინ ვინ შეიყვანა შეიყვანა შეცდომაში: ა) ვახუშტ-ანტონის ცილებმა არაქელი და „ფრანცუზის“ მწერლები, ბ) „დიდ-მოურავიანმა“ ვახუშტ-ანტონი, თუ გ) არაქელმა ვახუშტი ანტონ-ბროსეთურთ!!

გ. მოურავი „ჰფშვინვიდა – მრისხანების დროს – ამბობს იგივე არაქელ, ვითარცა მებრძოლი ცხენი და შესძახებდა, ვითარცა ლომი, ვითარცა გეენის მფშვინავი ვეშაპი“ (ბრძ., 99).
თანამედროვის არაქელის მიერ დაწერილს ტექსტში კი ასეა:

„მოურავსა ამას, რომელსაც პირველში ჰქონდა დამკვიდრებული თვის შორის მხედრობა ბოროტი ეშმაკისა და ამან პირველმა შვიდი სხვაცა უბოროტესი თვისთა თანა მოასხა, მოვიდა და დაემკვიდრა ამ მოურავსა შორის და იქმნა მისგან უკანასკნელი უბოროტეს პირველისა, რამეთუ ფშვინვიდა, ვითარცა მებრძოლი ცხენი, და შესძახებდა, ვითარცა ლომი, და აღმოიფშვენდა ლუარსაბსა ზედა, ვითარცა

გეენიის მფშვინავი ვეშაპი, და ეძიებდა სასიკვდილოდ მას" (არაქელი,

ივერია, 1885, გვ 28).

.. „შაჰ აბაზ იმო ისპაანს, სადაც თვით და მოურავით ჰფიქრობდნენ და იყვნენ განზრახვაში ყოველ დღე აოხრებისათვის საქართველოისა და დაცემისათვის ქართველთ მეფობისა“ (იქვე, 32).

აი როგორ და რისთვის „ჰფშვინავდა – მრისსანების (?!) დროს“ მოურავი! და ფურცელაძეს კი სულ, სხვანაირად „შეუზავებია“!

დ. პლ. იოსელიანის გამოცემულს „დიდ მოურავიანის“ სათაურში (გვ. 33) იოსებ თბილელის სიტყვებია: „მოურავს ამის მეტი არა დაუშავებია რა: ერთხელ ეს უთხრა ყეენს „მანამდი ლუარსაბ მეფე ცოცხალია, მანამ ქართლი არ დაწყნარდებაო“. ანტ. ფურცელაძე ბრძანებს, შვიდი ხელნაწერი ჩამივარდა ხელში, ამათგან ოთსი წ.-კითხვისა და არც ერთგან ეს სათაურები ვერა ვპოვეო (ბრძ., 47).

ჩვენც იმავე წ. კ. ხელნაწერები დავათვალიერეთ, ზოგი დაფანტული ანუ უთავბოლო იყო და ერთში, რომელიც გადაწერილია 1765 წელს (იხ! № 1536, გვ. 225), უმეტ-ნაკლებოდ ეწერა ის, რაც პლატონის გამოცემულშია „მოურავს ამის მეტი არა დაუშავებია-რა“ და სხ. ვერ წარმოგვიდგენია, „ბრძოლის" ავტორმა როგორ ვერ იპოვნა ის, რაც სრულიადაც დაკარგული არ იყო!

ე. არჩილ მეფე ან. ფურცელაძეს მოურავის მოსარჩლედ გამოჰყავს და არწმუნებს თავის მკითხველს, „თეიმურაზის სიძეს, კახთავე მეფე არჩილს, მწერალს ჭეშმარიტს, ღრმა ფილოსოფოსს, ღრმად საქართველოს ცხოვრებისა და ისტორიის მცოდნეს, კაცს ყოვლად მიუფერებელს და მიუდეგარს“ ჯანაშვილი ათქმევინებს (ბრძ., გვ. 429):

„კახეთი ხომ ამოვსწყვიტეთ და ქართველნიც იქ ჩავგვაროთ?“

ფურცელაძე განაგრძობს: „არჩილიანში მეფე არჩილ ათქმევინებს სააკაძეს, როდესაც ისა სცდილობს მიიბიროს ზურაბ ერისთავი:

„კახეთი რომ ამოვწყვიტოთ, კვლავ ქართლიცა იქ ჩავგვაროთ“ (ბრძ., 430).

„როგორ გგონიათ, მკითხველო, **რომ ამოვწყვიტოთ** და **ხომ ამოვწყვიტეთ** სულ ერთია? „ხომ ამოვწყვიტეთ“, როგორც ჯანაშვილს აქვს მოყვანილი არჩილის სიცყვები, გათავებული საქმეა, კიდეც ამოუწყვეტიათ, „რომ ამოვწყვიტოთ“, როგორც თვით არჩილს უწერია, ის არის, რომ ჯერ არ ამოუწყვეტიათ... აი ჩვენი ისტორიკოსი (ჯანაშვილი) რა ზნესა და ჩვეულებაზედ დაადგა სამწერლო ტაძარს, რომელიც ყოვლად წმიდათ და უბიწოდ უნდა იყოს დაცული (და რომელსაც არ უნდა ეხებოდეს არა მზაკვარი და ბინძური ხელი.*) რათ უნდოდა ამგვარი სამარცხვინო ცილები ჯანაშვილს? რათ კადრულობდა სხვის სიტყვების უკუღმა გადაბრუნებას სულ წინააღმდეგი აზრის გამოსაყვანად? რათ სწამებს არამც თუ სააკაძეს, თვით სააკაძეზედ მწერალთ ცილებს და აბრალებს მათ იმგვარს თხრობას, რომელიც მათ სრულებით გუნებაშიაც არ გავლებიათ და პირიქით სულ სხვა ულაპარაკნიათ? მხოლოდ ჩვენს უკრიტიკო მწერლობაში შეუძლიანთ გაჰბედონ ის-

ტორიის წერა ამგვართა კალმის მტერთა, როგორსაც წარმოადგენს ჯანაშვილი და პოეტი ლასურიძე“... (ბრძ. 430).

ამისთანა ლაპარაკს „გმირის“ მოურავის გაბედულობა და ჩვენის საზოგადოების მეტის-მეტი გულკეთილობა უკარნახებს ფურცელაძეს, თორემ სხა ქვეყანაში და სხვა საზოგადოებაში ამას კაცი ვერ გაიგონებს: ამისთანა ტყუილების დამწერს იქ შეარცხვენენ...

წარმოიდგინეთ, ხსენებული არჩილ მეფე, წინააღმდეგ ანტონ ფურცელაძის ზემო მოყვანილ რწმუნებისა, სწორეთ იმას ამბობს,

---

*) ამ ბრჭყალებში ჩასმულისთვის თვით ავქსონს ქაღალდი გადაეკრა და ისრე გამოეგზავნა ჩვენთვის ფეშქაშად თვისი „ბრძოლა“, მაგრამ გამომცემლის (ჭიჭინაძის) მიერ გამოგზანილში კი არავითარი ქაღალდი არ ეკრა და არა ეფარა-რა სიტყვებს „და რომელსაც არ უნდა ეხებოდეს არა მზაკვარი და ბინძური ხელი“. ესეთი საქციელი განმარტებასაც აღარ საჭიროებს. ჩვენ გვატყუებს „ბრძოლის“ ავქსონი თუ საზოგადოება?...

რისთვისაც „ბრძოლის“ ავტორი გვიწოდებს „მზაკვარს“ „ბინძურ ხელიანს“ და სხ.

წ. კ. საზოგადოების ხელნაწერ „არჩილიანში“ სწერია:

№ 424, 1701 წლ.: კახეთი ხომ ამოწყვიტეთ და ქართლიცა იქ ჩავგვაროთ“.

№ 3700, 1706 წლ. იგივე

№ 1729 და № 418: იგივე.

მაჩიტაძისეულში (დაბეჭდ.) „კახეთი ხომ ამოვწყვიტეთ და ქართველნიც იქ ჩავგვაროთ“ – ჩვენს წიგნშიაც: იგივეა.

როგორც ჰხედავს პატიოსანი მკითხველი, ჩვენ არც „განგებ მოგვიგონია“ რა და არც შეგვითხზავს, „შეგვიზავებია“, არც „მზაკვარობა და ბინძურობა“ გვიხმარია და არც „სამარცხვინო ცილები“ დაგვიწამებია, არც „გვიკადრებია სხვის სიტყვების უკუღმა გადაბრუნება სულ წინააღმდეგი აზრის გამოსაყვანად“.

ამგვარი განცხადების დაფასება მიგვინდვია თვით ავქსონისავის და აგრეთვე პატივცემულ მკითხველისთვის. რომ თავიდანვე ნამეტან პატივისმცემელი არ ვყოფილვიყავით ანტ. ფურცელაძისა, გავკადნიერდებოდით და ტექსტის შეცვლის დაბრალებისთვის ამას მაინც მოგახსენებდით მას:

„Чѣмь кумушекъ считать трудиться,
Не лучше ль на себя. кума оборотиться“.

დავაკვირდეთ არჩილის ნაწერს და დავრწმუნდებით, რომ იგი სწორეთ იმას იტყოდა, როგორც სწერია აღნიშნულს ხელნაწერებში (1701 წლ., 1706 და სხ.), აგრეთვე დაბეჭდილს მაჩიტაძისეულში:

არჩილის სიტყვები (გვ. 96) შესახებ 1619-1623 წლების ამბებისა:

„უთხრა თურმე მოურავმა, „ზურაბ, კარგა ყური მიგდე: მტერობა და ამოწყვეტა მე ბოლომდის ვით დავიგდე“...*)

---

*) კახელების ამოწყვეტაზეა ლაპარაკი, თორემ გარეშე მტრის ამოწყვეტა მაშინ გმირისთვის სასახელო იყო არათუ მარტო. „თავშივე", არამედ

სიცოცხლის „ბოლომდისაც“.

„კახთა უყავ, ყათლავიო, ქართველთ ზედა ცხენი იგდე“ [1])
რა ესენიც [2]) იქ ჩავგვარო, მაშინ ვისღა შეურიგდე“
მან (=შაჰ აბაზმა) მოგვატყუა [3]), რად შეგვექმნა ჩვენ ჩვენის
ხორცის ამქნელი,
დამამხობელი ქვეყნისა, ჩვენის ბოლოსა დამქნელი?
„კახეთი ხომ ამოვწყვიტეთ და ქართველნიც (=ქართლელნი)
იქ ჩავგვაროთ?
ჯერ ამ ლაშქარს ვუღალატოთ, მერმე მეფე აქ მოვგვაროთ“.

ეს საუბარი მოურავსა და ზურაბს შორის მოხდა მის შემდეგ, როდესაც ყაენისაგან მრავალგვარად დაჯილდოებულს საკაძეს შაი აბასი ავალებდა ახალს მისიას, კახეთის ხელახლად ამოწყვეტას და ქართლისაც აყრას და სპარსეთს მირეკას.

„ყეენმა უთხრა მოურავს:[4]) „გული მართლა მე დამყარე.
წადი, კახნი ამოსწყვიტე და ქართველნი (=ქართლელნი) ამიყარე,
კახთა ცოცხალს ნუ გაუშვებ და ქართველნი აქ მოყარე...
„დაასკვნეს და გამოგზავნეს ამ მიზეზით სულ ესენი...
კახნი მუხრანს შეიყარნეს, [5]) ქართველები [6]) არ არია.
უღალატეს (კახელებს), ამოსწყვიტეს, არ უთხარეს სამარია“,

---

1) იგულისხმება ყაენის მიერ მოურავისადმი დავალება, ხოლო დავალა:

კახეთის აწიოკება-აყრის შემდეგ იქ მოგროვილ-დასახლებულები ამოსწყვიტეო და ქართველნიც (ქართლელნი) აქ, სპარსეთში მიმირეკეო.

2) ქართლელნი. მანამდე ვინ ჩაეგვარა ყაენისთვის სპარსეთს?

3) იხ. ქვემო „ყაენის აბასის ონავრობა“-ში არაქელის სიტყვები: „ამაო და განხეთქილების იმედით მოატყუა (აბასმა) მოურავი და უთხრა: „ლუარსაბი მოვა თუ არა, ქართლზედ უფლებას შენ მოგცემო“.

4) 1619 წელს, ე. ი. კახეთის პირველ ამოხოცა-აყრის მეხუთე წელს, როდესაც დანაშთენი კახელობა რაოდენათმე კვლა დალაგებულ იყო აოხრებულს სამშობლოში (იხ. დაწვრილებით ქვემო)

5) მოიყვანეს. 6) ქართლელები.

აი, ამას ამბობს საკაძის შესახებ ფილოსოფოს, „ყოვლად, მიუფერებელი და მიუდეგარი ისტორიკოსი არჩილ მეფე“. ანტ. ფურცელაძეს ეს საკაძის ხოტბად მიაჩნია, ალბად, ისიც ხოტბაა, როდესაც იგივე არჩილი ამბობს „მოურავი ვეღარ დადგა... ვერ კარგი ქმნა ორგულობა“ (იხ. ქვემო). მაგრამ ამას თავი გავანებოთ, ვსთქვათ ის, რომ მუხრან-აღაიანს კახელების ამოწყვეტის დროს (1623 წ.) ჩვენი „ჰანნიბალი“ ჯერ კიდევ ჩუმათ იყო. ხოლო სპარსთა წინააღმდეგ ხმალზე ხელი გაიკრა მის შემდეგ, როდესაც ხელში ჩაუვარდა ყაენის ბრძანება აქაურ სპარს მოხელესადმი:

„ქართლი აჰყარეთ, კაცთაგან დაასუბითა (=დააცალიერეთ),

ერთპირად გამომიგზავნეთ, მკლავებს საბელი უბითა, მოურავს თავი მოჰკვეთე. ვეღარა ქნას-რა შუბითა“. (თბილ., ტ. 185).

ცბიერი ყაენის განკარგულებაში რომ ეს სამი სიტყვა – „მოურავს თავი მოჰკვეთე"– არ წერებულიყო, ვეჭვ, სააკაძეს ხანჯალი ეძრო და სხვა, ყაენის მიერ მოტყუებულ და გაწბილებულ ქართველ დიდებულებთან ერთად გამკლავებოდა სამშობლოს მტერთ. თუ მას ქართლის შველა გულით ნდომებოდა 1619 წლიდამ, როდესაც ყაენმა იგი და სხვა სარდლები დიდის ლაშქრით გამოგზავნა კახეთის ხელახლა ამოსაწყვეტად და ქართლის ასაყრელად, ვიდრე 1623 წლამდე დიდი დრო ჰქონდა ქართველებისთვის განეცხადებინა, თუ რა მიზნით მოსულიყო სპარსთა ლაშქარი საქართველოში.

თორემ ის კი ჩვენც გვჯერა, რომ სააკაძეს და ყველა მაშინდელ მუხანათების სვინიდისს მოსვენებას არ მისცემდა ორგულობა სამშობლოისა სასარგებლოდ სისხლის მწოველ ველურისა.

გული ეჩუყება კაცს, როდესაც იგონებს სააკაძის, ყაენის და უკვე ტყვე ლუარსაბის მიერ მეტეხის ციხიდამ ქალაქის დათვალიერებას და შემდეგს უნებურს დიალოგს მოურავ სააკაძესა და ლუარსაბს შორის.

– ღმერთო, მიუტევენ მტერთა ჩემთა!

– 23 –

– მე ვარ შენი მტერი? ეუბნება ტყვე-მეფეს თავზარდაცემული სააკაძე და თვალი ცრემლით ევსება.

– შეგეძლო ჩემზე გეყარა ჯავრი და არა ხალხზე, რომელიც სამარადისოდ დაიღუპა, და არც ეკლესიაზე, რომელმაც აგაღორძინა სარწმუნოებასა და ცხოვრებაში.

ამ წამიდამო, სწერს მოლოზანი მაკრინე, თეიმურაზ I-ის შვილის შვილის ქალი, გ. სააკაძემ გულში ჩაიდო მტრობა სპარსეთისა და განიგულა, ადრე თუ გვიან, სპარსთა უღლის გადაგდება, სვინიდისის განწმენდა ბრალისაგან, რომელიც ლოდად აწვა მისს სულს სამშობლოს გამცემლობისა გამო. (Жизнь В. Моур., გვ. 45.)

მაგრამ საქმეც ეგ არის, რომ მისი „გვიან“ დაგვიანდა იმ წამამდის, ვიდრე სპარსეთიდან მოვიდოდა ბრძანება თვით მოურავის თავის მოკვეთის შესახებ, და მაშინ კი სამშობლო უკვე 10-ის წლის მის წინად ამოწყვეტილიყო და საუკუნოდ აყრილი. მისს დღევანდელს ხელგამოდებას სარჩულად ედო უფრო ჯავრის ამოყრა მისდა სიკვდილის გადაწყვეტისთვის, თორემ მის აჯანყებით დაკოდილს და დაწყლულებულს სამშობლოს, როგორც მოსალოდნელი იყო, არა ერგორა სიკვდილისა და ხელახალ მუსრვა ჟლეტის მეტი.

3. სააკაძე იყოო უბრალო კაცის შვილი (ბრძ., 7). თანამედროვე წყაროებიც სააკაძეს მცირე აზნაურშვილად სთვლიან. ამიტომ გადაემტერნენო, რომ მდაბალი ჩამომავლობისა იყოო. ეს არ შეესაბამება უტყუარ ცნობებს სააკაძეთა გვარეულობის შესახებ.

ერეკლე II სწერს 1783 წელს ეკატერინესთან დადებულ ტრაკ-ტატში („ივერ., 1884, V , 25): თავადი თარხნიშვილი, *) ესენი ძველად იყვნენ დაღისტნის მხრის თავადნი ჭანკაანად წოდებულნი, რომელნიცა აწცა არიან დაღისტანს და ბელაქანსა შინა ჭანკაანად წოდებულნი. ამათნი გვარნი ვინმე მოვიდნენ სისიანის კერძოდ ნახ-ჩევანის მხარეს, დაეშენნენ მუნ და მეფემან სომეხთამან მიიღო ხა-რისხითა პირველისა აზნაურისათა. და მიიღეს ამათ სარწმუნოება

*) ერეკლეს ეს ნაწერი უმეტნაკლებოთ ჩავურთეთ ჩუენს საქართვე-ლოს“ ისტორიაში (გვ. 288).

სომეხთა და უწოდეს სააკ, რომელი არს ისაკ, და მისცა ადგილი აგულელს შინა და გუხთანისა მოხელედ განაწესეს წელსა ქრისტეს აქეთ 767-სა, ხოლო უკანასკნელ რა სპარსთა იწყეს დამდაბლებად სომეხთა სამეფოისა, გადმოსახლდნენ მუნითგან და მოვიდნენ ქართლს. და მეფემან საქართველოსამან მიიღო იგი და უბოძა თემ-მის ხეობასა შინა მამულნი და მოხელობა კლდეკარისა. ხოლო შემ-დგომად ამისა დროსა გიორგი მეფისასა წელსა ქრისტეს აქეთ 1503 *) იწოდებოდენ მოურავებად და ხარისხით მესამე თავადად. და უკანასკნელ ოდეს მოვიდა შაბაზ ყაენი სპითა დიდითა საქართვე-ლოსა ზედა წინამძღომელობითა სააკაძე გიორგი მოურავისა, ვითარცა მოუთხრობს ქართველთ მატიანესა შინა, მიზეზითა ამით მეფეცა ლუარსაბ შეპყრობილ იქმნა შაბაზ ყაენისაგან, რომელიცა აიძულებდა მამადიანობასა. ხოლო მეფე, არა მიმღები ბრძანებისა მისისა, იწამა ქრისტესთვის წელსა 1622-სა, და შემდგომად ამისა შაბაზმან დაუმტკიცა თავადობა გიორგის და უბოძა გვარად თარხა-ნობა (რომელ არს თათრულებ თავისუფლება), და მუნიდგან იწო-დებიან თავადად თარხნისშვილებად“.

თვითონ გ. სააკაძე დაიბადა 1582 წელს. იგი იყო შვილი შიო-შისა და ეს კი საამისა. 1593 წელს 24 მკათათვეს დედოფალი ნესტან-დარეჯან უბოძებს წყალობის წიგნს და ნიშანს საამ სააკაძეს შვილებს სახლთუხუცესს ზურაბს და მისს ძმას შიოშს და უმტკიცებს მათ ჩალის ციხეს „მისისა მართლისა სამართლიანისა სამძღურითა, მთათა, ბა-

*) ჩვენს „საქართველოს ისტორიაშიაც (გვ. 288) ეს ციფრი დავ-ტოვეთ, თუმცა გიორგი (მეცხრე), ვახუშტის ქრონოლოგიით, ნაჩვენებია მეფედ 1525 – 1534 წლებში და არა 1503-ს. არ დავიჟინებთ, რომ ეს „1503“ შეცდომა არ იყოს დიდად დამსაურებულ თავად თარხნიშვილების საგვარეულო სიგლები რომ დაიბეჭდება, მაშინ გამოჩნდება სინამდვილე: ეგების იყოს 1603 მაგიერ 1503-ისა. თავად-აზნაურობას დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართულ კულტურის შექმნის საქმეში: შოთა, მთარგმნელები, გურამიშვილი, ბარათაშვილი, ილია, აკაკი... სულ თავად აზნაურობაა. ამიტომაც მიუცილებლად საჭიროა ყველა თავად-აზნაურთა გვარეულობის სიგლების დაბეჭდვა. ამ გვარეულობათა ისტორია ამავე დროს არის ერთი ფურცელთაგანი ქართლოსიანთა ისტორიისა.

რითა, წყლითა, წისქვილითა, სასნავ-სათიბრითა, შესავალითა და გა-გამოსავალითა“ (საქ. სიძვ., I I I, 140).

1580 წელს თიბათვის 30-ს მეფეთ მეფე სვიმეონ წყალობის წიგნით და ნიშანით სააკაძესა ფრიდონის შვილებს და იოანეს უბოძებს მათს კერძს სოფელს სამღერეთს, ახალშენს და აბალიას (იქვე).

1608 წელს ლუარსაბ II ქალაქის ამირათა ამირას გიორგი სააკაძეს უბოძებს სოფელ კრწანისს (საქ. სიძვ., ტ. II, გვ. 50). მე- XVII საუკ. დამდეგს ქართლის სამეფოში უკვე „განმკვიდრებულ იყვნენ მთავარნი და დაეპყრათ ხევნი და ხეობანი თვისად, და უმეტეს ყოველთა სააკაძე გიორგი მოურავი ტფილისისა, ქცხინვალისა და დვალეთისა..., მხნე, ახოვანი, ძლიერი ძალითა და შემმართებელი, უშიში, მცბიერი, მჩურჩნელი და დაუნდოი (ქარ. ცხოვრ., გვ. 36).

ოსმალეთის ისტორიაში ჰამმერი ამბობს (Hist. De la Georg., გვ. 60): „ეს (გ. სააკაძე) ისეთი უშველებელის ტანის მოხუცი იყო და ისე ძლიერი, რომ მას უწოდებდნენ ხარს" (Taureau).

პლ. იოსელიანი სწერს (Жизнь В. Моурава, გვ. 5), სააკაძეთა შთამომავლობის სიგლეზიდამა და უმეტესად როსტომის მიერ

1625 წელს ბოძებულ სიკვდილამ სჩანსო, რომ ჯერ ისევ თამარ მეფის დროს ცხოვრობდა ჯან ზურაბ სააკაძე, დაჯილდოებული პირად და გვაროვნობით დამსახურებისათვის მამულებით. ბაგრატის ჟამს ლანგ-თემურმა თვით მეფე და მასთან ერთად დონა სააკაძე დაატყვევა ტფილისის ციხეში.

1625 წელს როსტომ მეფე სწერს სააკაძის შვილს თარხანს (Груз. двор. грам., გვ. 6): „პაპა შენი მოურავი გიორგი რომ გაშორდა საქართველოს, მაშინ მემკვიდრეობითი და მეფეთა მიერ შენის გვარეულობისთვის ბოძებული მამული ნაწილად სახასოდ ჩაირიცხა და ნაწილად კი მიებოძა სხვათა. ჩვენ გვეცნობა, რომ შენ ხარ არზრუმს. ვიცოდი-რა, რომ შენს გვარეულობას დიდი სარგებლობა მოუტანია ჩვენის სახლისა და მამულისთვის, ჩვენ დიდის ხელმწიფის შაჰ აბაზის თხოვნით დაგიბრუნეთ მთელი მამული, რომელსაც ფლობდნენ შენნი წინაპარნი, და ამას გარდა გიბოძეთ

სოფლები ნოსტე და ნოსტის-ოძისი გლეხებითა და მთელის მათის სახელო მიწებითა“.

სიტყვით, გიორგი სააკაძე დიდებულის და ძველადვე დამსახურებულის გვარეულობის შვილი იყო და ვერ წარმოგვიდგენია, რათ სთვლიან მას დაბალი, უბრალო ჩამომავლობის კაცად.

ზ. „ჰანნიბალიო“, მაგრამ არათუ მარტო იგი, არამედ მაზედაც მეტი, „უზენაესი გმირი, რომლის ბადალი ჯერ არ მოუციაო მსოფლიო ისტორიას“.

თქვენს პირს შაქარი. მაგრამ კართაგენელ გმირმა ლაშქარი ესპანია – ალპებიდამ გადაიყვანა შიგ შუაგულ იტალიაში და სამშობლოს მტერს ებრძოლა სრული ათი წელიწადი. მან არც ორჯელ გამოიცვალა მშობლიური სარწმუნოება, არც ერთხელ არ დაიჩოქა მტერთა მეფის წის, რომ ემთხვიოს მის ბედნიერ მუხლს და შეშჭვრიტოს მის „მოწყალე“ თვალს (ხვანთქარს „მუხლსა ვაკოცე... ვკადრე რომ გიჭვრეტთ, ის გვალხენს ვართ თქვენი ფერხთა მტვერია“ (იოს. თბილ., ტ. 419 – 421), არც რვა გუდა ოქრო მიიღო

მისაგან ჯილდოდ ,,ჯაშუშობისთვის," არც ერთი თანამემამულე არ გასცა, და ამიტომაც არც ჰქონდა საბუთი რომ ბოლოს თვითონვე დარწმუნებულიყო თვისს დასაზრახ ქცევაში და ეთქვა: „ესე მეც ვიცი: იქ წასულა ვერა ვქმენ კაის მცნებითა" (ი. თბილ., ტ. 160).

ჯერ ისევ ჩვენს ძველებს ესმოდთ, როდესაც ამხილებდნენ იგეთ მძლავრებს ვით თამარ მეფის ქალი რუსუდანი, და ეუბნებოდნენ უშიშრად: „ჟამთა აღმწერელობა ჭეშმარიტის მეტყველება არს და არათუ თვალხმა ვისთვისმე".

ამ მამა-პაპათა ანდერძს ჩვენც ვერ ვუღალატებთ. გადმოგცემთ მკსინვარების ხანას ისტორიას ისე, როგორც ამას მოგვითხრობს

თანამედროვენი, უტყუარი წყაროები.

III

ოცის წლის გულსაკლავი ამბავი.

თათარხანი. სააკაძის წვეულება. გაქცევა. ყაენის მოსვლა და ონავრობა. სააკაძის დაჯილდოვება რვა გუდა ოქროთი. ლუარსაბის ბოლო. ახალი მისია. ღალატი. მარცხი. გაქცევა. დაღუპვა. დასკვნა.

თათარხანი ანუ ყირიმის სანი ხონთქრის მიწვევით ბაღდადის ომში ყოფილიყო: ომი რომ გათავებულიყო, სამშობლოში დაბრუნება მოესურვა მოკლე გზით.

იგი ნიგალისა და სხვა ფაშებით შემოვიდა საქართველოში 30,000 მეომრით. მანგლისის ხეობიდამ ამოვლო კველთას და იქიდგან უნდა გადმოსულიყო თრიალეთის მთებზე და მცხეთიდამ წასულიყო დარიალს და იქიდგან ყირიმს. მტერს ამასთანავე, როგორც სჩანს, საქართველოს აკლებაც გულში ედო. ამიტომ კველთას დაიჭირეს მღვდელი თევდორე და ჰკითხავდნენ, გვითხარ, სად არის თქვენი მეფეო. თევდორე მიუხვდა ბოროტ განზრახვას და სხვა გზაზე ჩამოატარა მტერი. იგი ფიქრობდა, თუ მეფის ბინაზე მივიყვანე, მას შეიპყრობენ და ქვეყან წახდებაო; ხოლო თუ მე მომკლეს, ჩემისთანა ბევრი დაშთებაო. მტერს რომ გზა აუბნია, იგი მოჰკლეს. ამასობაში მეფემ და მისმა კაცებმა შეიტყეს მტრის მოსვლა, ფიცხლავ შეიყარნენ მცირე რაზმად და შეებნენ სხერტის ჭალაში და საგრძნობელად დაამარცხეს მისი მოწინავე რაზმი. მეტად მხნედ იყო ზაზა ციციშვილი, მოურავი საკაძე და სხვები. მტერმა გასწია გორისკენ, რომ გადავიდეს მტკვრის იქით პირს. ვიღაც ტერტერას გარჯილობით ქართველებმა გორის ხიდი აჰყარეს. აქეთ დარჩომილი

თათარხანი წავიდა ზევითკენ და გადავიდა სურამის მხარეს. შეებნენ ქართველნი და ამოწყვიტეს. თვით ლუარსაბი მხნედ იბრძოდა.

„მეფე გულსრულად მობრძანდა, შექმნა შუბისა ძგერება:
ვისცა მიუხდის თამამად, იგ მისგან გაიმტვერება...

იბრძვიან ერთპირ ქართველნი, ხმა ისმის ჩახა-ჩუხისა.
თათარხნის ჯარი გაწყვიტეს. ..
ჩვენი ბრძოლა შუბით არის, მათი ფარ-ხმალ ისარია,
სითაც მეფემ ცხენი იდგის, დააშვენის ისარია,
ვისაც თავს ლახტი დაჰკრის, არ ეგონის ისარია,
ღმერთო, მიეც გამარჯვება, რომ რაზმშია ის არია.
გაგვემარჯვა, ამოვწყვიტეთ, დავიპყრენით, დავხოცენით.

წვეულობა სააკაძისას. თათარხანის დამარცხების რამდენიმე ხნის მეშდეგ სააკაძემ გამართა წვეულობა და მეფეც მიიპატიჟა.

„იგ მხიარულად მეწვივა დარბაზსა კარგსა სეფესა,
უხუსა, გულტკბილსა, ჯომარდსა, ნიადაგ კართა მკრეფესა“.

სააკაძეს ჰყვანდა და, განთქმული შვენიერებით. მისმა სილამაზემ მოხიბლა ჭაბუკი მეფე.

„და მყვანდა ტურფა მშვენებით, მჭვრეტელთა გულსა ამება.
მეფემ თურ თვალი მიაპყრა...
მეფემან ბრძანა ჩემის დის – მწადსო ღვინისა დასხმანი.
მე ვუთხარ; ღვინო დაუსხა
მეფემ თურ თვალი შემსჭვალა, მან მოინდომა მრუშება.
დედას ჩემს თურმე აცნობეს, შექმნა ვაჲ და უშება.
მეფემ შინ კაცი შეგზავნა, დაუწყო ქალს დაშუშება“.

როგორც მოსალოდნელი იყო, სააკაძემ მეტად იწყინა.

„მეფეს კაცი მიუგზავნე: ეს არ იყო თქვენგან ქმნანი.
რომ ჩემი და გავაბოზო, სიტყვა ნუ გაქვს ამის თქმანი“.

მეფეს ებრძანა თუ, „არას საქმით არ დავშლი მაგის შერთვას“ მეფემ გააპირა ქორწილი. ჯვარი ქვათახევს დაიწერეს. სააკაძის

და იყო „ქალი პირბროლი შვენებით, ბაგე-კბილ-ტურფა-ძოწი-ლი“.

ექვსიოდ-შვიდიოდე თვის ამის შემდეგ ქვეყნის მტრები შეუჩნდნენ მეფეს და ეუბნებოდნენ: „რას გარგებს მარტო ისო (გ. სააკაძე), გვერდს არავინ მოგიდგებითო" (პარიჟის ქრონ.,*) გვ. 33). ამათა მოთავე იყო მეფის გამზდელი შადიმან ბარათაშვილი.

„შადიმან ამად დამქიშპდა: აქვს მამაცობის ზრახვანი.
ერთხელ ეს ვუთხარ: შენსა ხრმალს არა აქუს კვეთა, ახვანი.
თურმე შეექმნა გულშია სევდა, კვნესა და ახვანი“.

ასეთი კიჟინა და ზრახვა სამხედრო წრეში ეხლაც კი შეუნდობელ გაწბილებად ითვლება და სააკაძე-შადიმანის დროს კი ხომ, რაღა თქმა უნდა, ბრალი ორკეც-სამკეცდებოდა, თუ შეურაცხმყოფელი

იყო უმცროსი, ხოლო შეურაცხყოფილი კი ძირეული გვარის თავადი ანუ მთავარი. ამიტომ ადვილად წარმოსადგენია, რაგვარად განძვინდებოდა მთავარი და მეფის გამზდელი შადიმან ბარათაშვილი, როდესაც მას გაუბედავდა დაცინვას მასზე ნაკლებ გვარეულობიხ სააკაძე.

სააკაძის დევნის მიზეზად, მოსალოდნელია, ყოფილიყო არა მარტო ხმლის დაწუნება შადიმანისთვის, არამედ აბუჩად აგდება შადიმანზე წვრილებისაც და აგრეთვე მოყვრობა და მეგობრობა ნუგზარ ერისთავთან, რომელიც, როგორც უკვე იყო ნათქვამი, მეფეს მტრობდა და სააკაძის პარტიას ჰკერძავდა.

ასეა თუ ისე, სააკაძეს დაი მოაშორეს ლუარსაბ მეფეს და მისი მოკვლაც გადასწყვიტეს. სააკაძე გაიქცა სიმამრთან დუშეთს და აქეთგან ორნივე (ნუგზარი და სააკაძე) წავიდნეს სპარსეთს, ეწვივნენ ყაენს და „მოახსენეს თავისი საჩივარი ლუარსაბსა და მის სამეფოზე, აღუწერეს მათი ორგულობა ყაენის ტახტისადმი, განუცხადეს მათი

---

*) ეს ქართულად დაწერილი ქრონიკა გამოსცა პარიჟში აკადემიკოს ბროსემ 1829 წელს. მასში მოკლე-მოკლე ცნობებია 1873 წლიდამ ვიდრე 1703 წლამდე. ყოველი ცნობა მოთხრობილია მარტივის ენით, მიუკერძველად, გულმართლად.

საიდუმლო მიწერ-მოწერა რუსეთთან, მათი სურვილი მოიწვიონ რუსეთის მფარველობა საქართველოზე" (Жизнь Велик. Моурава, 25). ამავე დროს კახეთიდამაც მოვიდნენ მოჩივარნი. საქმე ის არის, რომ ცბიერ ყაენს წესად ჰქონდ მეფეები და დიდებულები ერთმანეთისთვის გადაეკიდა, მოემდურებინა რათა წყალი მუდამ ამღვრეული ყოფილიყო, რომ მას თევზები ადვილად ეჭირა. ამისთვის იგი მფლობელებსა და ქვეყნების პატრონებს ერთსა და იმავე დროს საიდუმლოდ სწერდა, მავანსა და მავანს მიუხტი, აიკელ, მოჰკალ და წყალობას არ მოგაკლებო. ასრეთი წერილები მან მოსწერა თეიმურაზსა და ლუარსაბსაც, მაგრამ მათ ერთმანეთს გამოუცხადეს ყაენის მოწერილობა და მშვიდობიანად გადარჩნენ. მაგრამ ყაენის ხვანჯს ვერ გადურჩნენ იგივე ლუარსაბი და ყაზახის ხანი, რომელნიც ერთმანეთზე მიუსია შაჰ აბაზმა; ვიდრე ყაზახის ხანი ყაენის მოწერილობისამებრ მოვიდოდა, ლუარსაბს თავს მოსჭრიდა და წარუგზავნიდა შაჰს, ლუარსაბმა დაასწრო მას, მიუხტა, დაამარცხა და მისი თავი მიართვა. ყაენის გულში ნადები გვლარძნილობა ცხადი იყო: თუ ხანი გაიმარჯვებდა, ქართლი ყაენს დარჩებოდა, თუ მეფე, ჯერ ერთი, შეიტყობდა ქართველთა ძალ-ღონეს და მეორეც – ხანის დაღუპვას მოიპიზეზებდა და უარესად გადაეკიდებოდა ლუარსაბს.

ყაენის გველაძუობამ კახეთშიაც დაატრიალა დიდი უბედურება. მან, როგორც გადმოგვცემს თანამედროვე დელღავალღე (ივერია, 1871 № 3, 42), ჩააგონა თეიმურაზს, დედა შენს ქეთევანს განზრახვად აქვსო ქმრად შეირთოსო ერთი გამოჩენილი სარდალი, რომლის ვაშკაცობით და სახელმწიფო საქმეების ცოდნით ბევრი ისარგებლეო. დედოფალი ეცდებაო შენ გეწინააღმდეგოსო, რომ ხელმწიფობა მოუმზადოსო სხვა შვილებს, რომელნიც ეყოლებაო მეორე ქშრისაგან. ამით მოტყუებულმა თეიმურაზმა მოაკვლევინა ეს სარდა-

ლი, რომელიც იყო საუკეთესო მეთაური ამ ქვეყნისა. მმართველობა გამოჰგლიჯა დედას ხელიდგან, მაგრამ დარჩა მოტყუებული: ჯერ ყმაწვილი კაცი იყო, მცირე გამოცდილება ჰქონდა და აკლდა პატივისცემა თავად-აზნაურებისა, რომელთაც მუდამ ყაენი აჩხუბებდა მას-

თან, მის კარზე მოსულ თავადებისა და აზნაურების წინაშე მუდამ აძაგებდა თეიმურაზს და მათ კი ასაჩუქრებდა, ეალერსებოდა.

დელლავალლესაგან აქ არ დასახელებული სარდალი იყო ქაიხოსრო ომანიშვილი, კაცი ახოვანი და ძლიერი. იგი შევიდა დაღისტანში და თავზარი დასცა ლეკებს. მერე მოითხოვა ბუკი; ამას აყვირებდნენ ხოლმე მხოდოდ მეფის გამოსვლისას. ამიტომაც მტრებმა დაასმინეს და მეფეს უთხრეს: ომანიშვილს „ნებავს კახეთი დმ იმისთვის ითხოვს ბუკსაც“. მეფემ დაუჯერა. მოუწოდა ომანიშვილს და მოკლა. ამისგამო გმირ სარდლის მომხრენი გაუორგულდნენ თეიმურაზს, „იწყეს ქვე-გამხედველობა მეფისა“. და ამათი არზაც მიერთვა ყაენს (იხ! ქვემო). პლ. იოსელიანი ამბობს, რომ ქაიხოსრო ომანიშვილი იყოო საიდუმლო მოერთგულე შაჰ-აბაზ ყაენისაო (Жизнь В. Моур., გვ. 29, შენიშ.).

„ესრე სიწრფელით და ადვილად დაენდობიან ხოლმე სხვას ქართველები“, დ ასძენს დელლავალლე (იქვე, 41). შემდეგში ქართველებმაც შეიგნეს, რომ არ უნდა დანდობოდნენ ცბიერ ყაენს, მაგრამ გვიანღა იყო ყვირილი: „მოგვატყუა“, „ესე მეც ვიცი, იქ (სპარსეთ1წასვლა) ვერა ვქმენ კაის მცნებითა" (სააკაძის სიტყვებია. „დიდი მოურავიანი“, ტ. 160).

ყაენის აბასის ონავრობა.

პარიჟის ქრონიკა (გვ. 36-38): „შაჰ აბაზს უნდოდა გულითა ნახვა მოურავის, ჩავიდა და დიაღ იამა შაჰ აბაზ ყაენს მოურავისა და ერისთავის ნახვა. და საჩივარი მოახსენეს და საქართველოს საქმე გაასინჯინეს. კარგა მიეპყრა. ხასი რომ გამოვიდა, პატივში კარგში იყვნენ. (ყაენმა) წაიყვანა მოურავი, ილაშქრა ყანდაარს. ინდოეთს, ბაღდადს, დაბრუნდა). ცოტა ხანი გამოვიდა, ქართლს წავიდა. ამ დროს არზა მოუვიდა შაჰ-აბაზ ყაენს: არშის ციხის აღება და საერისთოს (არაგვის) აოხრება მიეწერათ. ესეც ყაენმა იწყინა და კახთაგანაც ბატონის თეიმურაზისაგან მოჩივარნი ყაენის კარზედ იყვნენ; ისინიც ერისთავსა და მოურავსა მოედგნენ და ყაენს სა-

ქართველოზედ ლაშქრობა დააჯერეს და დიდის ლაშქრით საქართველოზედ გაილაშქრეს და წავიდნენ სრულ ერანის ლაშქრით. ყაენი ყარაბაღში მობრძანდა. (თეიმურაზს შეუთვალა: მოდიო. მან აახლა თვისი დედა ქეთევანი და ორი თვისი ვაჟი. აბაზმა ქეთევანს მიაწერინა შვილისადმი შენც მოდიო)... ყაენმა (სპარსეთს) დაბრუნებაც მოინდომა და ყიზილბაშთ უფროს კაცებს ეს ლაშქრობა არ უნდოდა, მაგრამ ქართველნი და კახნი, ვინცა ვინ ყაენის კარზე იყვნენ, და-

იწყეს ლაპარაკი: „ყაენი და ერანის ლაშქარი აქამდისინ გარჯილ-
ხართო, სამის დღის სავალი დარჩომილაო, ჩვენ და ჩვენი შვილები
აქ მზევლათ შეგვინახეთო, თუ თქვენს ლაშქარს დაუმარცხდეს რამეო,
ყველას თავები დაგვაყრევანეთო. რადგან ხელმწიფე (შაჰ აბაზი)
აქამდისინაო მობრძანებულაო, საქართველოს მიბძანდეს და ნახოსო და
თავისი ერთგული და ორგული იცნოსო (ამ დროს კახეთიდგანაც
მოვიდა თეიმურაზის შემოთვლილობა: ვერ გიახლებიო) რომ
არ მოვიდა და ვერ გენდოთო, თავის საბატონოს ლაშქარს იყრი-
სო“. ყაენმა ამათი მოხსენება დაიჯერა, ქეთევანი ისპაჰანს გა-
გზავნა, თვითონ კახეთს მივიდა თვესა იანვარსა ა ქ-კნსა ტბ“
(1614 წ.).

ამავე საგნის შესახებ დელლავალლე *) 1627 წელს სწერს
რომის პაპს (ივერია, 1879, № 3, გვ. 44--46): „თურმე ხელ-
მწიფე (შაჰ აბაზი) იყო ჩაგონებული ერთის გამოჩენილის და
ძლიერის ქართველ მოურავისაგან, რომელიც გამწყრალი იყო ლუ-
არსაბზე, იმიტომ რომ იგი წინედ შეჰპირდა დის ცოლად წაყვანას

*) დელლავალლე თანაგრძნობით და მეტისმეტად **მიუდგომელად**
ასწერს საქართველოს ყოველს ნაწილს, მისს ძალას, მდგომარეობას და
სხ. იგი სწერს: „საქართველო დღეს შეიცავს ყველა იმ მხარეებს, რომელ-
თაც ძველი ხალხები უწოდებდნენ კოლხიდას და ივერიას; შეიცავს აგ-
რეთვე სომხეთის და, შეიძლება, კიდევ ალვანიის ნაწილებსაც. ამ საზ-
ღვრებში სტრაბონის აზრით, მდებარეობს მესხების ქვეყანა. ამ სახით,
საქართველოს უჭირავს სულ ის ქვეყანა, რომელიც იწყება შავის ზღვის
აღმოსავლეთის ნაპირიდგან და მიაღწევს თითქმის კასპიის ზღვამდე. მთე-
ლი ეს ქვეყანა დღეს ხმარობს ერთს ენას, რომელიც ყველა იქ მცხოვრებ

და, მგონია, კიდევაც დაიწერა ჯვარი, მაგრამ შემდეგ უარჰყო და
ეს ქალი აღარ ინდომა. ამიტომ იგი მტრად გაუხდა ლუარსაბს და
მთელს საქართველოს და იყო მიზეზი იმ უბედურებისა, რომელ-
ზედაც ეხლა მე ვამბობ. ამასთანავე მან დიდი გავლენა შეიძინა
სპარსეთის ხელმწიფის წინაშე. სპარსთა ხელმწიფეს, ვიმეორებ,
ამისგან ჰქონდა ჩაგონებული ის აზრი, რომ ლუარსაბის ქვეყანა
არ იქნებოდა მის მფლობელობაში წყნარად და მოსვენებულად, სინამ
თვითონ ლუარსაბი ცოცხალი იქნებოდა, რადგან ხალხს უყვარსო ეს
თავისი მეფე. თეიმურაზი უფრო ფრთხილად იყო. ის არას გზით
არ დაენდო ხელმწიფეს (შაჰ აბაზს) როცა დაიბარა, არ იახლა. (არც
თვისი ცოლი გაუგზავნა. წესი არ არის ცოლს გავეყარო და შენ
გამოგიგზავნოო. ამას ჩემი ღირსებაც ნებას არ მაძლევსო, რომ სა-
კუთარი ცოლი დაგითმოო. მაგრამ რომ დაინახო შენი პატივისმცე-
მელი ვარო, გიგზავნიო ჩემს დედას და ორს ჩემს შვილსო. ყაენმა
ისევ ცოლი მოსთხოვა და შემდეგ თვითონაც დაიბარა. თეიმურაზმა

ხალხების საზოგადო ენაა. ამ ქვეყანას, რომელსაც ჩვენ ვუწოდებთ გიორ-
გიას და იქაურები – საქართველოს (cardueli), უწინ ჰფლობდა მხოლოდ
ერთი მეფე. აზნაურებს, ვით საფრანგეთში, მოსწონთ ცხოვრება სოფლად.
მათის აზრით, ქალაქებში უნდა იცხოვრონ მდაბალ ხალხის კაცებმა და
ხელოსნებმა. სოფლად ბლომად მოჰყავთ აბრეშუმი. საქართველო სპარსთა
და ოსმალთ იმპერიებ შორის არის. რომ საქართველოს ამ მდგომარეო-
ბაში თავი შეუნახავს, ესეც საკვირველია, და არა მცირე მიზეზი ამის არის

ქართველების მამაცობა. რიცხვით საქართველოს ხალხი ძლიერ მცირეა
და ამასთანავე დაყოფილია რამდენიმე მოთავეების შუა, რომელნიც, მის
მაგიერ რომ ერთად ებრძოლონ მტერს, ხშირად ერთმანთს ებრძვიან.
ქართველებს არა აქვთ არავითარი არტილლერია, თოფებსაც ცოტად ჰხმა-
რობენ. ამდენ ნაკლულევანებასთან, ვამბობ, მათ მაინც დაიცვეს თავიანთი
სჯული. ამიტომ მთელი ეკლესია რამდენადმე დავალებულია მათგან (გვ.
29-38). დელლავალლემ თავის პირველის ცოლის სიკვდილის შემდეგ
მეორე ცოლად შეირთო ქართველი ქალი თინათინ წიბა, სპარსეთში დე-
დასთან ერთად ტყვედ წაყვანილი და თინათინ დედოფლის დიდად საყ-
ვარელი (თამარაშვილთ კათოლიკ. ისტ., გვ. 88).

არ შეუსმინა. ყაენმა ქეთევანი და მისი შვილის-შვილები შირაზს
გაგზავნა, სადაც ჩემს დროს მას პატივით ეპყრობოდნენ). სპარ-
სეთის ხელმწიფემ კი განაგრძო მსვლელობა საქართველოსკენ, ე. ი.
კახეთისკენ, რომელიც თეიმურაზის მბრძანებლობის ქვეშ იყო. მას
მიუძღოდნენ მრავალი თავად-აზნაურები, რომელთაც უღალა-
ტეს თავისს მეფეს და დაიჭირეს სპარსეთის ხელმწიფის მხარე,
რადგანაც ბევრს რასმე მოელოდნენ მისგან. ამათ უჩვენეს მას
გზები საქართველოში შესასვლელად და გაუადვილეს საშიშ ადგი-
ლებზე მსვლელობა“.

არაქელი სწერს 1659 წელს (გვ. 30 – 37): ისპაანს „ყო-
ველ შესაბამ შემთხვევაში შაჰი ელაპარაკებოდა მოურავს და სცნობ-
და მისგან ყოველსავე ქართველთ ქვეყნისა და გვარის ვითარებას,
გამოიკითხავდა სიმაგრესა ქვეყანისასა, სიბრძნესა მეფეთასა და თა-
ვადთა, სიმრავლესა ნათესავისასა და ვაშკაცობასა მხედრობისასა და
სხვა, რაიცა უნება“. „ეტყოდა შაჰი მოურავსა: „აჰა განვდლს დღე-
თა მრავალთა და ვითარის სახით დავიწყოთ მიზეზი, რამეთუ იმ
მიზეზით შეკვრიბოთ მხედრობა და წარვიდეთ ქართველთ ნათესავსა
ზედა. გარნა მოურავს ენება ყოვლითურთ ლუარსაბის ჯავრის ამოყრა“
(მოურავმა მოახსენა ყაენს: ლუარსაბს მეტად ლამაზი და ჰყავსო,
შენი შესაფერიო, ის მოითხოვეო, ქალს რომ მოგიყვანენ, მერე
მისი დედაც მოითხოვე. აქ შეინახეო და ამ გზით ადვილი იქნება
ლუარსაბის მონადირებაო და წარწყმედა, ხოლო თუ არ შეისმენ და
ქალს არ მოგცემენ, მაშინ მოუცემლობა მიზეზი იქნება შენთვის
წასასვლელად მათ ზედაო). აქედგან უარი შეუთვალეს ყაენს, რომე-
ლიც „თვით და მოურავით ჰფიქრობდნენ და იყვნენ განძრახვაში
ყოველდღე აოხრებისათვის საქართველოისა და დაცემისათვის ქარ-
თველთ მეფობის“. „შეშდგომად სამჯერ მიწერ-მოწერისა, რადგანაც
არ მოვიდნე,ნ შაჰმა აქცივა პირი თვისი საქართველოსკენ, შეჰკრიბა
მხედრობა თვისი, აიყარა ისპაანიდამ და თან გამოიყოლა დამრი-
გებელი ბოროტისა და ქვეყნის აღმაოხრებელი მოურავი, ისპაა-
ნიდამ ნებივ და წყნარად სვლით. მოვიდნენ განჯას და დაიბანაკეს
ზაფხულში. ეტყოდა შაჰი მოურავს: „აჰა განვლო მრავალმა დრომ,

როდისღა იქნების ერთი მიგვიყვანო საქსრთველოში“. მოურავი უპა-
სუხებდა: „ცოტა დროებაც მოითმინეთ, ჯერ დრო არ არის; რო-
ცა დრო იქნება, მე თვით აგაჩქარებთ მუნ წასასვლელათო“. ამას

იმიტომ ეუბნებოდა მოურავი, რომ ზამთრის პირზედ უფრო ადვილათ შევიდოდა ქართლში სპარსის ჯარი და იმოქმედებდა, ტყეს ფოთოლი გაცვივნული ექნებოდა და ცხენით სიარული ადვილი იქნებოდა; ამასთან მინც ქართველნი გაქცეულნი და დამალულნი იყვნენ ტყეში და მთებში და მიუდგომელ ადგილებში, თოვლის მოსვლის გამო ანუ აცივების გამო ჩამოვიდოდნენ ბარათ სოფლებში, სადაც ცხენოსანი ჯარი სპარსთა მარჯვედ იმოქმედებდა დაწვით, აკლებით და ხალხის ხოცვით. ასეც მოხდა“ (გვ.33). ამასობამი ქართლ-კახელობა დაზავდა, ლუარსაბმა თეიმურაზს მიათხოვა ყაენის მოთხოვნილი თვისი და ფერი. ყაენმა უთხრა მოურავს: აქამომდე მოგვიყვანე და ის ქალი კი მე არ მომათხოვეს, „არამედ თეიმურაზს, რომელიც ჩემ მსახურთაგანთა ძლივ თუ არს თანასწორი და ახლა სასაცილოთ და საკიცხველათ ვყევარ მე ქვეყანას. უკეთუ არ წამიყვან და საქართველოში არ შემიყვან, ნაჭერ-ნაჭერ გაქცევო“. მოურავმა მოახსენა: „უკეთუ არ შეგიყვანო, ეგრეთ ჰქმენ, და უკეთუ შეგიყვანო, რას იქ“? შაჰმა დიდი წყალობა აღუთქვა. დარჩნენ დეკემბრამდე. რომ მოვიდა თოვლ, დაიჭირა სასტიკი სიცივე, ხალხი სოფლებში დაიხიზნა, მოურავმა მოახსენა ყაენს: „ახლა წავიდეთ საქართველოში. აწ არს ჟამი“. აიყარნენ განჯიდამ და მოვიდნენ კახეთს (არაქ., გვ 36).

შარდენი (პარიჟის გამოც. 1829 წლ., გვ. 127): „აბასი მისის ლაშქრით შეიყვანეს ამ ქვეყანაში (საქართველოში) მეჰროვმა და ქართველ დიდებულებმა, რომელთა რიცხვი ყოველდღე მატულობდა. იმედები და დაპირებანი იზიდავდა ზოგიერთებს, სხვებს კი შიში».

ქართლის ცხოვრება (გვ. 37 – 00):... „მოურავი და ნუგზარ მივიდნენ შაჰ-აბაზის წინაშე. პატივით შეიწყნარა, ანიჭნა ბოძნი დიდნი. მიერითგან აზრახებდა ყეენსა მოურავი დაპყრობად ქართსა. ყეენს გულად ედო დაპყრობა და გამაჰმადიანება ქართლისა.

ნუგზარ გამოუტევა ნიჭითა, მოურავი დაიტოვა ჟამადმდე. შემდეგ ყაენი უგრძნეულად მოვიდა განჯას. ეახლა მოურავი და ეუწყა ყეენისათვის შესლვად ქართლს უმჯობეს არს ზამთარს, ვინადგან ვერ წავლენ ხიზანნი მთათა შინა და ხელთიგდებ ყოველთა... გაიპარნენ ნუგზარ და იესე (არაგვისა და ქსნის) ერისთავნი, ამილახვარი ანდუყაფარ, ფეშანგი ფალავანდიშვილი, აღათანგი ხერხეულიძე და მივიდნენ განჯას წინაშე ყეენისა“.

პლ. იოსელიანი (Жизнь, 32): „ერის საუბედუროდ, ქართლში გამოჩნდნენ ახალი მოღალატეები, ვახუშტის სიტყვით, არაგ-ვის ერისთავი ნუგზარ, ქსნისა იესე, ამილახვარი ანდუყაფარ, ფერშანგი ფალავანდიშვილი, აღათანგელოზი ხერხეულიძე! ყველა ესენი თავად გიორგი სააკაძის მიერ წაქეზებულნი მივიდნენ განჯას შაჰ-აბაზთან თავიანთ რაზმებით და აღუთქვეს მის ნების ასრულება და მისდა სამსახური წინააღმდეგ ქართლის მეფისა“.

ასეც იყო. პარიჟის ქრონიკითაც (გვ. 38 და 48). ყაენი საქართველოში შემოვიდა შუაგულ ზამთარს 1613 წელს და 1-ელ იანვარს: 1614 წელს უკვე მძვინვარებდა კახეთში. იგი დაბრუნდა საქართვე-

ლოდგან მსოლოდ აგვისტოს 1614 წელს. ამავე 1614 წელს დასდებს აგრეთვე ოსმალთა ქრონიკა (Addit. V, 481, 481, შენიშნ.), ერთაწმინდის გულანი № 1058, Lettres ლ. გრანჟიესი, დაწერილი მოქვში 1614 წელს და პარიჟში გამოც. 1615-ს, „წიგნი ქორონიკონი“ (ქრონ. თ. ჟორდანიასი, გვ. 440). მხოლოდ ვახუშტი ყაენის მოსვლის წლად დასდებს 1615-ს და 1616-ს. თუმცა სხვა წყაროებიც არის, რომელნიც თეიმურაზისა და ლუარსაბის იმერეთში გაქცევას უჩვენებენ 1615 წელს (ქრონ. ჟორდ., გვ. 441).

კახეთის აკლება. ერის აყრა და გადასახლება. სპარსთა უამრავს ლაშქარს ვერ გაუმაგრდნენ მეფეები და იმერეთს გადაცვივდნენ. შაჰ აბაზმა „იავარ ჰყო და მოაოხრა კახეთი, გამოიღო ციხე თორღისა, ყველანი საგანძურნი კახეთისანი, ჯვარნი, ხატნი და წიგნი შემუსრა, შეაგროვა თვალ-მარგალიტი და მისცა ცოლთა თვისთა სამკაულად. კახეთზედა არაოდეს ყოფილ არს ეგე ვითარი განსაცდელი... აღხოცნა პირითა მახვილისათა ერწო, თიანეთი, პირი არაგ-

ვისა ზემოთგან ვიდრე ავჭალამდე, მარტყოფი, უჯარმა, საგარეჯო... არავინ განერა ხელთაგან მათთა თვინიერ მცირე კაცი მარტყოფისა... წავიდა ქართლს, ნიქოზს, იქით ჯარი გაუძახა, ოსეთი დაარბევინა“ (პარიჟის ქრონ., გვ. 38 – 39).

დელლავალლე (გვ. 47): როცა ყაენი შევიდა საქართველოში, ნახა ადგილის სიმაგრე, დაფიქრდა, თუ რა შეეძლოთ ქართველებს, რომ ერთობით ყოფილიყვნენ, თავიანთ სახლებში დარჩომილიყვნენ და ჰქონოდათ რიგიანი მართებლობა, ის არამც თუ აღარ ეცადა ამ ქვეყნის ხელში ჩაგდებას – იცოდა ვერას გზით ვერ ჩაიგდებდა, – არამედ მოუთმენლად ისწრაფა იქიდგან გამოსვლა და უსაშიშო ალაგას დაბანაკება (ქვეყნის ხელში ჩაგდებას ხალხის წაყვანა ამჯობინა). ამიტომ მსწრაფლ მოაცილა მთელი სალხი თავის სახლ-კარს და ძალით წაიყვანა თან. ადვილად წარმოსადგენია, რა არეულობა იქნებოდა მთელის ქვეყნის ხალხის გადასახლების დროს! ამათ შორის იყვნენ მამა-კაცები და დედაგაცები, თავად-აზნაურები და გლეხები, დიდები და პატარები, ყოველ წოდებისა, ყოველ წლოვანებისა და ყოველ მდგომარეობისა. ესენი თავიანთ ხაბაკ-ხუბაკით რაოდენის წაღებაც შეეძლოთ, დააყენეს ჯარის წინ და სიჩქარით წაიყვანეს სპარსეთისკენ... ქირმანი, ყარამანი, მაზანდარანი და სპარსეთის სხვა ადგილები სავსეა ქართველებით და ჩერქეზებით. უმეტეს ნაწილად იგინი არიან ფარსისტანსა და მაზანდარანში და უჭირავთ არათუ ქალაქები და მაზრები, არამედ მთელი ქვეყნებიც... თანდათან იგინი მაჰმადიანდებიან, მეტადრე თავად-აზნაურები ჯარის კაცნი და გლეხნიც. ამისთვის ყაენი აჯილდოებს მათ. ამგვარ კაცთაგან დღეს 30,000 მეტი მეომარი ქართველი ემსახურება ყაენს. ამათ ყაენი უწოდებს ყულს (მონას) და ჰხმარობს მათ ამაყ ყიზილბაშთა დასამდაბლებლად და ასალაგმავად... ყველა ამათ გარდა სპარსეთი სავსეა მოსამსახურედ წამოყვანილი ტყვე ქართველებით. ერთი სახლიც არ მოიპოვება აქ, რომ ამისთანა ქართველებით, მამაკაცებით და დედაკაცებით სავსე არ იყვეს. იმისთანა დიდი კაცი არ არის, რომელსაც არ ჰსურდეს, რომ ყველა მისი ქალები ქართველები იყვნენ, იმიტომ რომ ესენი მშვე-

ნიერები არიან. თვით ყაენს გავსებული-აქვს თავისი სასახლე მათის

კაცებითა და ქალებით და სხვებს თითქმის არ იმსახურებს*).

„რა მგომარეობა მოჰყვა ამ საზარელ გადასასლებას), რა წყვეტხ-ჟლეტა, რამდენი სიკვდილი ნამდვილ გაჭირებისაგან, რა გლეჯა, რა გახრწნა, რა ძალდატანება, რამდენი ჩჩვილი თავიანთ მამებმა დაახჩვეს ან წყალში ჩააგდეს სასოწარკვეთილებისაგან! რამდენი სხვა მოჰკლეს სპარსელ ჯარის კაცებმა, რამდენი ძალად მოგლიჯეს დედის ძუძუს და დააგდეს შარაზე მხეცის საჭმელად ან მხედრობის ცხენებისა და აქლემების სასრესად! მხედრებს არა ერთხელ უვლიათ ლეშებზედ. რამდენჯერ მამა შვილს, ქმარი ცოლს, ძმა დას მოაშორეს და წაიყვანეს სხვა და სხვა შორ ქვეყნებში ისე, რომ დაშორებულებს იმედიც არ შერჩენიათ როდისმე ერთმანეთის შეხვედრისა! ამ შემთხვევაში რამდენი ქლი და კაცი იყიდებოდა ყველგან პირუტყვზედ უფრო იაფად! რამდენი ამისთანაები სხვა მოხდა, ღირსი შებრალებისა, მაგრამ ყველას ვინ მოსთვლის“.

გრიგორ ორსინის ჩვენებით, ყაენმა წაიყვანა 60,000 სახლობა ქართველი, გორგიჯანიძის ჩვენებით 80,000 სული. ისკანდერ მუნჯი კახეთშივე დახოცილთა რიცხვს აღთვლის (60,000 – 70,000 კაცად, წაყვანილთა რიცხვს 100,000, უკვალოდ დაკარგულთა 30,000 (Hist de la Géorg., 486)

არაქელი (გვ, 38): ყიზილბაშთ დაჰყვეს კახეთში 50 დღე. ამ ხნის განმავლობაში კახეთში რა ჩაიდინეს რა არა, პირს არ ძალუძს თქმა და ენას მოთხრობა, თუ რამდენი დაჰკაფეს, რამდენი მახვილით დაჰკოდეს ანუ თუ მოჰკლეს და თავი მოჰკვეთეს, და რაოდენი უბრალონი ტყვედ წაასხეს და არცხვინეს, ქონება და სარჩო წარიტაცეს, შენობანი დასწვეს და დააქციეს, და ეკლესიები დასწვეს, და დააქციეს, წმ. ტრაპეზი და ნიშანი წმ. ჯვარისა დასთრგუნეს, ტყვეთა ინახვიდენ, ურდოში თავის საჭიროებისათვის, და ამნაირად

*) ამდენ ქართველობას არ შეეძლო თვით რასიული ზემოქმედება არ ექონია სპარსთ ერზე და არა მარტო მის უმაღლეს წოდებაზე, როგორც იუწყება განსვენებული პატკანოვი სიტყვებით: „Они (грузины) имѣли значительное вліяніе на расовое видоизмѣненіе персіань высших сословій (Дневник осады Испагана“, გვ. VIII).

შეავიწროვეს მთელი მხარე სიცივით, შიშველობით, შიმშილით, წყურვილით და სხვა მრ. გვარად“. კახეთში „არ დარჩა სიმაგრე, რომ არ აიღეს და ანუ ადგილი რომ არ ააოხრეს. ერთობ თანასწორ ააოხრეს და გახრწნეს და არა-რაიმედ გარდააქციეს ყოვლით აღვსილი ვაზიანი და მრავალი ხალხით აღვსილი კახეთი და კრემი“ (გვ. 40).

„შემდგომად ამისთანა აოხრებისა შაჰი აიყარა კახეთიდამ და ქართლის სამზღვარზედ დაიბანაკა. (და გამოაცხადა) ქვეყანას ქართლისასა ჩემად ვრაცხ და არ წავახდენ ჩემდა და ლუარსაბის გამო, რადგან იგი არის შვილი ჩემი და ვცნობ მას ძმად და მეგობრად.

და როდესაც იგი მოვა, მას მივანდობ ქართლს და მე წავალ სპარ-
სეთში. თუ ინებებს ლუარსაბ და მოვა, ესრეთ ვყოფ და უკეთუ არ
მოვა, აჰა მოურავი რომ არის ქართლელი და ქართველთაგანი, რო-
მელიც აწ ჩვენთან არს, მას მივსცემ ქართლსა და მე წავალ ქვეყა-
ნასა ჩემსა“. შაჰმა უბრძანა მოურავს გაეგზავნა თავის მსახურთაგანნი
თავ-თავის სოფლებში და ექადაგნათ ყველასთვის ესევე და ყველანი
დაარწმუნონ. ეგრევე ამაო და განხეთქილების იმედით მოატყუა
მოურავი და უთხრა – ლუარსაბი მოვა თუ არა, ქართლზედ უფლე-
ბას შენ მოგცემო“ *). მოურავის მსახურებმა ეს ამბავი მოჰფინეს
ქართლში. ხალხმა დაიჯერა, ხელს არ გვახლებსო. ჩამოიხიზნა. მა-
შინ სპარსნი ეტყოდნენ: „მოდით და დაეწერენით შაჰსევნად, რომ
თქვენც ტყვეობაში არ ჩაცვივდეთო, როგორც კახელები. ლუარსაბს
არ ურჩევდნენ მოსვლას. მაგრამ ყაენის მზაკვრობამ ბოლოს იმოქმე-
და. ლუარსაბმა თქვა: „შაი მოსულა ჩვენს ქვეყანაში და მთხოვს

*) კახეთიდამ რომ ქართლს შემოვიდა აბასი, იწვია იგი მოურავმა
თავის საგვარეულო ნოსტეში, მოალერსე ყაენს სთხოვა, სახსოვრად შენის
აქ ყოფნისა ნება დამრთე მარმარილოს სვეტი ავმართოო. ნება მისცა.
მოურავმა უბრძან თავისიანებს ათს დღეში აემართათ. გორიდამ დაბრუ-
ნებულმა ყაენმა კვლავ ინახულა ნოსტე და ახალი ძეგლი და უხვად და-
აჯილდოვა ბატონი საკაძე. შემდეგში, როდესაც მოურავმა უღალატა
ყაენს, იგი თვითონვე დაამსხვრია და მის ადგილას ააშენა საყდარი, რო-
მელიც დღესაც არსებობს (Жизнь В. Моуравов, 42).

მშვიდობის მოხდენას. უკეთუ არ წავალ, ქვეყანას ააოხრებს და გახ-
რწნის, ეკლესიებს დააქცევს, ესე ყოველი იქმნების ჩემის მიზეზით.
არს მცირე რამ დროს ცხოვრება ჩემი სვინიდისით ვიდრე რომ იმ-
დენის ერის თანამდები შევიქმნა. უშჯობეს არს ჩემი წასვლა შაჰსთან,
რომ ყოველი ქვეყანა დავიხსნა ჩემის მიზეზით აოხრებისაგან".
მოვიდა. ყაენს გაუხარდა. შაჰსევნად ჩაწერილები ისპაანს გადაასახლა,
თვითონაც დაბრუნდა და თან ლუარსაბიც წაიყვანა.

პარიჟის ქრონიკა (გვ. 42): ქართლიდამ თბილის ქალაქს
ჩამოვიდა (შაჰაბაზი ლუარსაბითურთ). კახეთში რაც კაცი აეყარა, ზო-
გი ფერიას გაგზავნეს და ზოგი მაზანდარანს, ზოგი შირაზს დაა-
სახლა, ზოგი სხვაგან დაფანტა. ეს კახეთი აოხრებული ალექსანდრეს
შვილიშვილს იესეს მისცეს და დავით ასლანიშვილი ვექილად დაუყე-
ნეს და ქართლი და იორსა და ჩერქეზს აქეთ დაუთხანის შვილს
ბაგრატს მისცა და თვესა აგვისტოსა წაბძანდა ყაენი, წაიტანა მეფე
ლუარსაბ კარგის პატივითა და მოურავიც წაიტანა ტყეებითა. ყაენისა
კაი ყმა იყო, მახსენა: თუ ბატონის ბაგრატის ქართლში ბაბატო-
ნება გინდათო, მეფეს ლუარსაბს ამდენს პატივს ნუ სდებთო, თო-
რემ-და ამისი იმედვე ექნების და აღარავინ ბატონს ბაგრატს არ
მიუდგებისო. და ამ ბეზღობით ბატონი ლუარსაბ ასტარაბათს გაგ-
ზავნეს. ცოტა ხანი რომ გამოვიდა, ყაენმა სმა დაუწყო და გამხია-
რულდა და მოურავს უბრძანა თუ, ნუ მოგვიწყენო, ამდენს წყალო-
ბას გიზამო, დიაღ ბევრსაო, და აქ ამდენს თეთრს მოგიტანინებო,
რომ კარამდი ვერ მიიტანოო. მოატანინა თეთრის გუდები, ტახტს
წინ დააწყობინა და უბრძანა გიორგი მოურავს: აიღებ რასაც აი-
ღებდეო და ან ძალა გქონდეს, ეს თეთრის ბუდები აიღეო, და მი-

ვიდა ტახტის წინა. დაიჩოქა და გულში თქვა: თუ ცოტა ავიღო, არამც თქვან, თუ ძალა არა აქვსო, და თუ ბევრი ავიღო, ეგების ასე თქვანო, ხარბი არისო. გულში არჩევდა და თქვა: ისევ სიხარბე მიძრახონო, ისი სჯობსო, რასაცა მოვერევი, ავიღებო. თვითო გუ-და მხარზე გარდავიგდე, ერთი თავზე დავიდე, თვითო იღლიას შევიგდეო, ერთი კბილში მივიეცო, ორი ხელში დავიჭირეო, და ავდექ, კარამდი მივიტანე, და ყაენმა ბძანა, ნუ მოჰკლავთ ჯხუმსაო

ჯაშუშსაო, მაგის კაცებს მიეცითო. კართან რომ მივიდა, თავისი კაცები დახვდენ და იმათ მისცა და ოთხასი თუმანი გამოვიდა. და მოურავი ისევ ყაენმა გვერდს დაისვა“.

გავყვეთ მოურავის კვალს ისე, როგორც აგვიწერს მისივე შვი-ლისშვილი იოსებ თბილელი: „შვიდი ცხენი დაჰპარეს, ჩვენთვის სასხდომად კმარისა. უნაგრიანად მომისხეს" (ტაეპი 118). გაჭირე-ბით მივიდა ნუგზარ ერისთვისას. ორნივე ცოლშვილით და მცირე ამალით გაიპარნენ, აღჯაყალას ცოლშვილი დატოვეს და მივიდნენ სპარსეთს (ტ. 160). „ესე მეც ვიცი, იქ წასულა ვერა ვქმენ კაის მცნებითა“ (ტ. 160). „თურმე შაჰაბაზ ხელმწიფე იყო მისულისა მდომელი... დამიხუდა კეთილად... ხანი რამ დავყავ, მიბოძის (ტ. 161)... ყანდაარს წაბძანდა... თან წავყევ (ტ. 162)... ბაღდადს წაბძანდა, ვიახელი (ტ. 162) .. დაბრუნდა, ტახტზედ მიბძანდა. რა ხანმა გავლო მცირენი, მერმე ბრძანება გამოხდა ქართლს წარსულის დასაპირენი. წამობრძანდა და წამოვჰყევ, ჯარნი შეექნეს ხშირანი (ტ. 164). უწინ კახეთსა მობრძანდა, იცით, რომ იქნა რაები *), მეორედ ქართლსა მოვიდა... ორნივე (მეფენი) გარდაბძანდით იმე-რეთს (ტ. 165)... ლუარსაბ (მეფე) მობძანდა (იმერეთით ყაენის მოტყუებით)... ერანელთ შეიპყრეს (ტ. 166-168)... თან წაიყვანა ხელმწიფემ (ყაენმა)... მეც ისევ თან წამიყვანა (168, 169). დღეს ერთს ლხინად ჯდა ხელმწიფე... მიბრძანა გამხიარულდი... თეთრს მოგცემ ამდენს, კარამდინ ვერ შესძლო მიტან-წაღებად: სხვის წყა-ლობითაც დაგმართო (ტ. 170). მოატანინა. დააწყვეს ტახტის წინ თეთრის (ფულის) გუდები. მიბძანა: „ადეგ, აიღე, ნუ ხარ მცონარად, უდები“. ტახტის წინ მიველ. თეთრს ჰქონდა სულ ახალ-ახალი ბუ-დები. წინ დამაჩოქეს, არ ითქმის აწ ტყუილი და მრუდები (ტ. 171). გულს ვუთხარ, ცოტას ავიღებ, დამზრახუენ: – არ აქუს ძა-ლები! ბევრი ავიღო, არამც სთქვან: – ხარბად შემსჭუალა თუალები:

*) „არჩილიანში“ მოურავი და მისი მეგობარი ზურაბი ამას ახსნიან სიტყვებით: **„კახეთი ხომ ამოვწყვიტეთ** და ქართლიცა იქ (სპარსეთს) ჩავგვაროთ?“ იხ ზემო.

ვთქვი, თუ მიზრახონ სიხარბე, გული მაქვს კლდეებრ სალები. ბევ-რის აღებას ვეცადე, მით გავიმაგრე ძუალები (ტ. 172). თვითო მხარზედა გარდვიგდე, ერთი თავზედა დებული, თითო ღლიასა შევიდე, ორი ვქენ ხელკიდებული, ერთი კბილშია მივიეც, მით ვიქმენ აზიდებული; ავდეგ, კარამდის წავიღე, არვისგან არ რიდებული (ტ.

173). ჰბრძანა (შაჰ აბაზმა): „ნუ მოჰკლავთ ჯაშუშსა, მისს კაცსა მიუბარეთა“. მე ჩემი ყმანი დამიხუდეს კართან რომ მიველ გარეთა, ოთხასის თუმნის წამღებთა ვერ ვხედავ დამაზარეთა. გუერდსა დამისვა სელმწიფემ, ბრძანა თუ გაიხარეთა“ (ტ. 174).

იუდამ თავის იუდობით ვერ შეიშვნია 18 ვერცხლი, რომელიც აეღო ჯაშუშობით თავის უფალის წინააღმდეგ, ჩვენი გიორგი კი, თუ დავუჯერებთ მისს შვილისშვილს იოსებს, კიდეც იწონებს თავს ყაენისაგან აღებულ რვა გუდა ოქროთი ჯილდოდ!

ლუარსაბის ბოლო, პარიჟის ქრონიკა (გვ. 43): ერთს წელიწადს უკან (გუდებით თეთრი რომ აჩუქა ყაენმა მოურავს და გვერდს დაისვა) თეიმურაზი კახეთში ჩაიყვანეს (კახელებმა) და ყაენის მიერ დადგინებული მოხელე გააგდეს და ამაზედ მოურავმან კიდევ დრო დაიცა, ყაენს მოახსენა: „რადგან კახთ ბატონი თეიმურაზ ჩამოიყვანესო, ქართველნიც (ქართლელნი) ეცდებიან, რუსეთით ნავები შემოიტანონო და ბატონი ლუარსაბ ზღვით გააპარონო“. ყაენმა კასპის ზღვის პირის ციხიდამ ლუარსაბი გაისტუმრა ხაშმიანს ცხელს გულაბ-ყალის ციხეში. ზედაც ქართლიდამ ჩაფარმა მოიტანა ამბავი იმერთ ზემო-ქართლი დაარბიესო. ყაენი მოურავს დაეკითხა. იმან ასრე მოახსენა: „სანამდი ლუარსაბ მეფე ცოცხალი არისო, საქართველო არ დაწყნარდებისო“. კაცი გაგზავნეს მალვით და ლუარსაბ შვილდის ბაწრით დაარჩვეს“.

დელლავალლე (გვ. 45): ქრთველი მოურავი, გამწყრალი ლუარსაბზე მტრად გაუხდა ლუარსაბსა და საქართველოს. ყაენს ამისგან ჰქონდა ჩაგონებული ის აზრი, რომ ლუარსაბის ქვეყანა არ იქნებოდა მის (ყაენის) მფლობელობაში წყნარად და მოსვენებულად, სანამ თვითონ ლუარსაბი ცოცხალი იქნებოდა, რადგანაც სალხს უყვარსო ეს თავისი მეფეო და ყოველთვის იმედი ექნებაო, სანამ ის

ცოცხალი იქნებაო, რომ ერთ დროს ხელახლავ თავის მეფეთ იყოლიოსო. ხალხის გული და სული მისკენ არისო. ამით იყო შეშინებული, თუ იმ შეთქმულობით, რომელიც ვითომ იმ დროს სხვა ქართველებსჰქონდათ ამისის(ყაენის) მოსაკლავად, ხელმწიფემ გადასწყვიტა მოესპო მათთვის ეს მიზეზი: მშვილდის ბაწრით წაახჩობინა საწყალობელი ლუარსაბი თვით იმ ციხეში, რომელშიაც ის ტყვეთ იყო“.

არაქელი (გვ. 58). ყაენი იდგა ავიქურანს. მის ბრძანებით მისმა დიდებულმა ლუარსაბს თავი მოსჭრა და ყაენს მიართვა. ყაენმა გულის ჯავრი მასზე იყარა: აგორა, ჰგმო და მერე ყურით ასწია, გადააგდო და თავდაღმა დააგორა.

ყაენის ახალი განკარგულება. 1619 წელს გარდაიცვალა ქართლის მეფე ბაგრატი. ყაენმა უთხრა სააკაძეს: გული მართლა მე დამამყარე. წადი, კახნი ამოსწყვიტე და ქართველნი (ქართლელნი) ამიყარე, კახთა ცოცხალს ნუ გაუშვებ და ქართველნი აქ მოყაარე... ბატარა სვიმონს (ბაგრატის ძეს) გაგატან ქართლსა ვითომ დაიპყრობდეს... დაასკვნეს და გამოგზავნეს („არჩილიანი“, გვ. 96).

პარიჟის ქრონიკა (გვ. 48): ყორჩიხანმა, მოურავმა და ზურაბმა დიდის ჯარით სვიმონ-ხანი მოიყვანეს ტფილისს, ქორწილი

უყვეს. რა ქორწილება გარდიხადეს, ბრძანება იყო ყაენისა, რომე კახი კაცი გაეწყვიტა და კახეთში ყიზილბაშნი დაესახლებინა. ფეიქარხანმა კახეთიდამ კახთა ლაშქარი მოიყვანა მუხრანს, იქით აქეთ ჯარით გაკრეს: გაატარიან თითო-თითო კახნი; აქედამ გატარებული ასე მოკლიან, ერთი მეორის სიკვდილს ვერ შეიტყობდა. აღაიანის მინდორში ყათლამი უყვეს. მერმე თარეში გაუსია კახეთს, თითონ ნორიას დადგა. ეს იწყინეს ქართველთ: ქრისტიანთ უბრალოდ დახოცვა.

როსტომ მეფის გუჯარი 1647 წლ.: „რა ქორწილობა გარდაიხადეს, ბძანება იყო ყაენისა, რომე კახი კაცი გაეწყვიტათ და კახეთში ყიზილბაში დაესახლათ... აღაიანის მინდორში ყათლამი უყვეს ღალატით, ერთობილნი კახნი დახოცეს“.

მოურავი უღალატებს შაჰ-ბაზს (1623 წელ'ს). პარიჟის ქრ. გვ. 48). მოურავმა უთხრა ქართლელებს: ყაენს ამათთვის (ყორჩი-

ხანისა და სხ.) შათირი (ჩაფარი) გამოეგზავნაო, ის შათირი მე დავიჭირეო, ეს შემოუთვლიაო: კახთათვის კარგა გიქნიაო, ახლა ქართლის კაცსაც ისე უყავიო. მოურავის პირობით ქართველნი შეიყარნენ, დაესხნენ მარტყოფში, ნორიას ყიზილბაშთა თავსა, ყარჩხანი სარდარი და შარვანის სანი და სხ. ხანები და სულთნებიც მრავალი დახოცეს... მოიყვანეს ბატონი თეიმურაზ მცხეთას, შეჰფიცეს და გააბატონეს ქართლსა და კახეთსა“.

იოსებ ტბილელი (ტ. 184): ლოჭინის ბოლოს ქორითა დავიწყე ნადირობანი. ერთი შათირი მორბოდა. აქ მოდი? უყავ ხმობანი, არ მომეწურა, ესე სთქვა: „არა მაქვს თქვენი ცნობანი“. ძალად შევიპყარ... დავჩხრიკეთ. თავ-დაჭედილი წიგნი უპოვე. ეწერა: ქართლი აჰყარეთ, კაცთაგან დაასუბითა; ერთ პირად გამომიგზავნე, მკლავებს საბელი უბითა. მოურავს თავი მოჰკუეთე, ვეღარა ქნას-რა შუბითა (ტ. 185). შათირი მოვჰკალ. ის წიგნი დავხიე. დავბრუნდი გაჯავრებული. ნახეთ, რასა ვიქ წლეულად! (ტ. 186).

დელლავალლე (გვ. 55):... „გზა გაუხსნა მას [თეიმურაზს] მრავალ მაჰმადიანების გაწყვეტით თვით იმ ქართველმა დიდმა მოურავმა, რომელიც, როგორც ზემოდ ვამბობდი, იყო მიზეზი უბედურობისა. ეს მოურავი განაგებდა ლუარსაბის სამეფოს ახალგაზდა მთავრის (სვიმონ-ხანის) შემწეობით, რომელიც იყო სპარსეთის მორჩილი. ბოლოს მოურავს დაეკარგა სპარსეთის ხელმწიფის ნდობა, შეიძლება იმიტომ რომ იგი დიდ უფლებას იჩენდა. აღმოჩნდა, რომ ამ მიზეზით სპარსეთის ხელმწიფე უმზადებდა მას სიკვდილს. მან ინანა თვისი შეცთომილებანი და ლუარსაბის წამება: ამბობენ, მოურავმა უარ ჰყო მაშინ ცუდად მიღებული სჯული (შიობა), აღიარა ისევ ქრისტეს სარწმუნოებაო, მოჰკლაო ვერაგობით რამოდენიმე უმთავრესი სპარსთა სარდლები, რომელნიც უკანასკნელ დროს გამოგზავნილნი იყვნენ იმ ქვეყანაში, გააგდოო ეგრეთვე ახალგაზდა მაჰმადიანი (თუ მოჰკლა კიდევაც) და ეცადაო ყველა მხარეების პატრონად შექნილიყო თეიმურაზი“.

ისკანდერ მუნჯი (Hist. de la Georgie, Addition V, გვ. 489): „ბაგრატ მოკვდა (1619 წ.). მის ადგილას ყაენმა დანიშნა

მისი შვილი სიმონი, ჯერ მცირე წლოვანი, ხოლო ხელმძღვანელად (tureur) დაუდგინა მოურავ-ბეგი... 1623 წელს მოურავ-ბეგს შეუსრულდა 10 წლამდე, რაც ისლამი ირწმუნა და რაც თავის სახლობითა და შვილებით ემსახურებოდა ყაენს, მეტად პატივცემული და მოსარგებლე დიდის კეთილით ყაენის მხრივ (tres considere et jouissant de grands biens).

როსტომ მეფის გუჯარი (1647 წლ.) განაგრძობს: კახნი რომ აღაიანს ღალატით დახოცეს, ეს იწყინეს ქართველთა (ქართლელთ) ქრისტიანთ უბრალოდ დახოცა. შეიყარნენ ქართველნი, მარტყოფში ყიზილბაშთა თავსა, ყარჩიღახან სარდალი და უსუფხან შირვანის ხანი და სხვა ხანები და სულთნებიც მრავალი დახოცეს, აღივსნეს საშოვრითა, ოქროთი, ვეცხლითა, თვალითა, მარგალიტითა, მრავალის უცხოს ნაქსოვით, ცხენ-აქლემითა და ჯორითა. ამაზედ ჩამოიყვანეს კახი ბატონი თეიმურაზ და გააბატონეს მცხეთას ზედა ქართლსა და კახეთსა“?

მარაბდის ომი (1624 წლ.) და ქეთევანის წამება. ქართველთ დევნას გადურჩა კახეთის მმართველი ფეიქარხანი. მისგან გაიგო-რა ყაენმა სპარსთა ამოხოცის ამბავი, განძვინდა, ქეთევანი აწამებინა *)

---

*) არაქელი სწერს (გვ. 60): ერთს ღამეს ყაენმა აბაზმა ჰკითხა მის წინაშე მყოფ ქართველებს: „რატომ თქვენს დედებსაც არ ამაჰმადიანებთ“? უპასუხა ერთმა მათგანმა: „როდესაც ვეუბნებით დედათა ჩვენთა მიიღონ მაჰმადის შჯული, იგინი გვეუბნებიან – დედა თეიმურაზისა ქრისტიანეა და ჩვენ აბა როგორ გავთათრდეთო". ყაენმა ერთს დიდებულს დაავალა ან გაამაჰმადიანოს და ან წარწყმიდოს. მივიდა შირაზს, საცა პატიმრად იყო ქეთევანი. გამოიხმო და მოახსენა დაბარებული. ქეთევანმა უარჰყო გათათრება. თავისთან მყოფ ქართველებს და მათ შორის ორს მღვდელს უთხრა: ასო ასოდაც რომ ამკუწონ, ქრისტეს ვერ ვუღალატებო და თქვენ თქვენს თავს უშველეთო. ქართველებმა ხმა მაღლა ტირილი მორთეს. ჯალათმა დაუწყო რკინის ჩანგლით დასერვა ტანისა. ქალი გმირულად ითმენდა. მერე მოიტანეს გახურებული მიტრა სპილენძისა და თავზე ჩამოაცვეს. კლდესავით მაგრა იდგა თავის რწმენაზე. გაახურეს მიწის სათხრელი რკინის ბარი და დაადეს ძუძუებ შუა და გულზედ. ქეთევანმა სუ-

და დიდი ლაშქარი ისახან ყორჩიხანის მოთავეობით გამოგზავნა საქართველოში. ასტყდა ბრძოლა მარაბდის არე-მარეს. გმირულად იბრძოდნენ ცხრა ძმანი მაჩაბელნი, ხერხეულიძენი და სხვანი მრავალნი, ჯერ კიდეც გაემარჯვათ ქართველებს, რომელთაც მტერს მოუკლეს 18,000 მეომარი, მაგრამ ბოლოს მაინც დამარცხდნეს, ბრძოლის ველზე დასტოვეს 10,900 თვისი მოძმე და გამოიქცნენ. მტერმა კვლავ თითქმის მთელი ამერეთი დაიჭირა. სპარსთა ჯარში იყო აგრეთვე ხოსრომირზა (შემდეგ როსტომ მეფე). გამარჯვება ყაენს ახარა ხოსრო-მირზამ, რომელიც ამისგამო ყაენმა დანიშნა ყულარ-აღასად ზემო ხსენებულ „ქართველ ეულთა“ ლაშქრისა.

ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მასუკან გამოჩნდება. ჩვენმა „ჰანნიბალებმა“ „ურემი“ თვითონვე გადააბრუნეს. თვისის შეუთანხმობლობით, თვისის წინდაუხედაობით მძვინვარე ყაენს კახეთი

სისხლით დააცლევინეს, ქართლიც მრავალნაირად დააკოდინეს და მა-
ინც ვერ შეიგნეს, რომ საჭირო იყო ნამუსიანი ბრძოლა, რომ სი-
ცოცხლესა ნაძრახსა სჯობდა სიკვდილი სახელოვანი, რომ გარეწრო-
ბასა და ჯაშუშობას ერჩივნათ ძმური შეთანხმებული მოქმედება. ქარ-
თველთა მოთავე „ღამურებმა“ სამშობლო რომ ჩააგდეს მტრის
კლანჭებში, მორთეს გალობა გაერითანების შესახებ. ქართლი და
კახეთი (თუღა იყო აგეთი „კახეთი“!) შეაერთეს თეიმურაზის გა-
მეფებით, მაგრმ მალე ისევ წაიჩხუბნენ.

სააკაძეს „მოურავშაობა“ მოუნდა. მალე ჩვენი „ჰანნიბალი“
გადაეკიდა მაშინდელ თავ კაცებს, თეიმურაზს, ზურაბს, ქველ წერე-
თელს (გადაბუგა), და სხ. იგი ცდილობდა არამც თუ მარტო უზე-
ნაესი უფლება ჩაეგდო ხელში, არამედ მოწადინებული იყო მოეჭრე-
ვინებინა ფული თავის სახელით და ზედწარწერით: „მოურავ შაჰ,
მსახური შაისა". „Cependant Maghraw chan se declarait
prince independent, et faisait batter monnaie en son nom

ლი განუტევა. იქვე აწამეს ერთი მისი მღვდელთაგანი და სხვა მისი მო-
სამსახურე ქართველები (მღვდელი, მსახურნი და მხევალნი) განიბნენ.

avec cet exergue: „Maghraw-chah, serviteur du chab” *)
ბროსეს მიერ შენიშვნად გამოწერილი ისტორიიდამ ჰამმერისა.
Hist. de la Géorgie, გვ. 62). რომ ამით ვერც ყაენის გული
მოიგო და ვერც ქართლის დაცალიერებულ ტახტზე დაჯდა ხელმწი-
იფედ, იმერეთიდამ და ქართველობისაგან გამოვარდნილ საფარ-ფაშის
სამფლობელო სამცხიდამ ლაშქარი მოიყვანა ბაზალეთს და შეება თეი-
მურაზს, მაგრამ კვლავ ამაოდ დაღვარა ღვიძლ ძმათა სისხლი. და-
მარცხებულს იმერთაც ზურგი შეაქციეს, „ჰანნიბალი“ იმათაც შეი-
ძულეს. ტუსტუსით გასწია სტამბოლისკენ... თურქთა

„ხელმწიფეს მუხლსა ვაკოცე,
სიტყვა მიბრძანა თქმისანი.
ვკადრე: „თქუენს ხმალსა მოვენდევ,
ვერა ვქენ სხვისა გმობანი" (იოსებ ტფ., 419).
„მიბრძანის: „ნუ შეგწყინდების,
აქ არვინ არ გყავს მტერია".
ვკადრე: „რომ გიჭვრეტთ, ის გუალხენს,
ვართ თქუენი ფერხთა მტუეია“ (იქვე 42I).

„არჩილიანი“ (გვ. 116): „მოურავი ვეღარ დადგა“ (ბაზა-
ლეთის ომის შემდეგ), აწღა ხონთქარს მიაშურა; ვერ კარგა ქნა
ორგულობა, ვერ ომი და ვერ შაურა. ხონთქარმა სცა მწვე პატივი
და წყალობა არ უშურა“.

აქ ხელახლა გამაჰმადიანდა: ახლა სუნობა იტვირთა და სახე-
ლიც მუჰამედ-ბეგად შეიცვალა. ხონთქარმა დიდად დააჯილდოვა და
საომრად წარგზავნა. იგი და მასთან ერთად 40 ქართველი
კონიაში ივლისის დამდეგს 1629 წელს.

აკადემიკოს ბროსეს სიტყვები (საქ. ისტორ., 2, გვ 30):
„ამ გვარად მოკვდა გიორგი სააკაძე ორჯელ ღალატის მტვირთვე-
ლი, სჯულის უარისმყოფელი და სამშობლოს დამღუპველი".

*) თარგმანი: „ამასთანავე, მაღრავ-ხანმა გამოაცხადა თავისი თავი დამოუკიდებელ მთავრად და მოინდომა ფულის მოჭრა თავის სახელით და ზედ-წარწერით: „მაღრავ-შაჰ მსახური შაისა“.

სიმონ ღოღობერიძე: „გ. სააკაძეს ცხოვრებას ბ. ან. ფურ-ცელაძემ უძღვნა მთელი მონოგრაფია, რომელიც, სამწუხაროდ, უფ-რო ისტორიულ რომანსა ჰგავს... ავტორი გაუტაცნია ამ ჩვენის ალკივიადეს მოღვაწეობას *) და ერთობ იდეალურ მოქმედად, გმირად გვიხატავს დიდს მოურავს. ბ. ან. ფურცელაძის წარ-მოდგენით, გ. სააკაძე საქართველოს შეერთების იდეით იყო გამსჭვა-ლული, შაშინ, როდესაც მის მოქშედებიდამ ეს არა სჩანს და ყველა მაშინდელნი მწერალნი ერთხმად აღიარებენ, რომ თუმცა სააკაძე ნი-ჭით და მხნეობით შესანიშნავი კაცი იყო, მაგრამ მუხანათი, გამცე-მი, მოღალატე, რენეგატი იყოვო. მის სახელს ზიზღით იხსენიებს ისტორია“... (საქართვ. ისტორია ბროსესი, თარგმ. სიმონ ღოღო-ბერიძისა და გამოც. ნიკოლოზ ღოღობერიძისა, გვ. 30, შენიშ. 11).

ჩვენ საქმეს ცოტა სხვანაირად განვჭვრეტთ და სააკაძის ბრალის შემამსუბუქებელს გარემოებასაც ვპოვებთ რაოდენათმე თვით ქარ-თულს საერთო ხასიათში, რომელსაც არჩილ მეფე გამოსქვამს სიტყვებით:

„ასე სჭირს საქართველოსას
დიდებულთ გინა მცირეთა:
აზვავდებიან, იტყვიან,
უჩემოთ ვინ იმღერეთა?“ („არჩილიანი“, გვ. 112).

დავით აღმაშენებელის ცხოვრებაში თანამედროვე ამბობს (ქართლ. ცხ., 260):

*) ალკივიადი, ძე კლინისა, ათინელი სარდალი, დაიბადა 450 ქრ. წ., 415 წელს დაარწმუნა ათენელნი, გავილაშქროთო და დავიპყრა-თო სიცილია. დასთანხმდნენ. სარდლად თვითონვე დანიშნეს. მაგრამ ისე „ისარდლა“, რომ მას ჩამოართვეს დედულ მამული და ყოველი ღირსება. გაქცევით თავი იხსნა, სპარტელები ათინას მიუსია. ტისაფერნ სპარსელს დაუმეგობრდა. შემდეგ ათინელებმა ისევ მიიწვიეს. რამდენიმეჯერ გაი-მარჯვა სპარტელებზე. მაგრამ მოქალაქეთ კიდევ მოიძულეს. იგი გაიქცა თრაკიას, მერე ბითინიას, შემდეგ ფრიგიას, საცა სპარსთა სატრაპმა მოჰკლა 404 წელს ქრ. წ. მ. ჯ.

„ნათესავი ქართველთა ორგულ ბუნება არს პირველითგანვე თვისთა უფალთა, რამეთუ რაჟამს განდიდნენ, განსუქნენ და დიდება ჰპოონ და განსვენება, იწყებენ განზრახვად ბოროტისა, ვითარცა მოგვითხრობს ძველი მატიანე ქართლისა და საქმესი აწ ხილულნი“.

მე-VI საუკინეში მოაკლდა მეფობა შვილთა გორგასლისათა ქართ. აზნაურთა მანქანებით, მაგრამ ერთობის შეგნებამ მალე ისევ

აღადგინა მეფობა და მით „დაესრულა მეფობა ქართლისა აზნაურთა ბოროტთა საქმეთა მათთაგან“ (ქარ. ცხ. 135).

ბაგრატ მე-III-მე რომ საქართველოს გაერთიანებას შეუდგა, დაუყოვნებლივ „იწყეს მედგრობით ზაკულება, ვითარცა არს ჩვეულება, ქართლისა აზნაურთა“ (ქართ. ცხოვ., 207).

მის შვილს გიორგის და საქართველოს გაერთიანების საქმეს უღალატეს „ღადრობით“ კახელ აზნაურებმა.

ამის შვილს მეფე ბაგრატ IV, ჯერ კიდევ 9 წლისას, უღალატა აზნაურობის ერთმა ნაწილმა და თუ არა გაგებული კაცები აზნაურობიდამვე საქართველო მტერს ჩაუვარდებოდა ხელში.

გიორგი ბრწყინვალე საქართველოს გასაერთიანებლადა და გასაძლიერებლად იძულებული იყო „ცივის წვეულება“ გაემართა იმათთვის, რომელნიც იყვნენ მიზეზნი ქვეყნის დაქსასვისა, სიძაბუნისა, რომელნიც განზე გამდგარიყვნენ და გაიძახოდნენ: „უჩემოთ ვინ იმღერეთა“?

ამისთანავე „მღერამ“ ზოგიერთის მხრივ ერეკლე მეფეს წაა-გებინა კრწანის-ტფილისის ბრძოლა საჭურის ყაენთან 1795 წელს.

თვით დღევანდელს ჩვენს ცხოვრებაშიაც განა ძველივე გულ-ზვიადობა, იგივე „უჩემოთ ვიხ იმღერეთობა“ არ არის? ერთი კი გაიწიოს ჩვენმა კაცმა და ცხრა-უღელა ხარითაც ვეღარ გამოაბრუნებ სწორ გზაზე.

თვით გიორგი სააკაძის დროსაც მარტო ეს არ მისდევდა „უჩემოთ ვინ იმღერეთობის“ მცნებას, არამედ უთვალავნი, თვით მთელი ქვეყნები ქიზიყი, კახეთი, ფშავ ხევსურეთ-თუშეთი, არაგვი, ქსანი, ცხინვალი, სომხეთ-საბარათიანო, ქართლი, მესხეთი, იმერეთი, რაჭა, სვანეთი, სამეგრელო, აფხაზეთი, გურია, ჭანე-

თი. ბაგრატ III-ის, დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის და გიორგი ბრწყინვალის მეფობა მოურავის თანამედროვე მეფის ხელში წარ-მოადგენდა მხოლოდ მტკვრის ხეობის ნაპირებს ტფილისიდამ სუ-რამამდე და დანარჩენს ჰფლობდნენ დამოუკიდებელნი მეფენი, მთა-ვარნი, ერისთავნი და ყველა ხელჯოხიანი. ამათმა შეუთანხმობლობამ, ერთურთის დაუნდობლობამ სამშობლოს მოსწყვიტა მთელი ქვეყნები, მისცა აუარებელი ზარალი.

200,000-მდე სული მესხი გამოვარდა ქართველობიდამ.
200,000 მეტი ჯელალედდინმა, თემურმა და სხ. ამოსწყვიტეს.
მარტო ტფილისში.
230,000 შეიწირა შაჰ-აბაზის მტარვლობამ.
10,900 გაიჟლიტა მარაბდის ომში.
50,000-მდე სული ტყვედ გაიყიდა იმერეთიდამ.
ამოვარდა მთელი გიშელის სამწყსო ნუხი.

წარმოდგენითაც, ვერ წარმოიდგენს კაცი, თუ ამავე დროს რა უზომო ზარალი მოუვიდა საქართველოს სოფელ-ქალაქთა დანგრევით, წიგნებისა და სხვა კულტურულ შეძენილობათა გადაბუგვით, გაოხრებით *).

ვიმეორებთ, ერთი პირობის უქონლობამ უმთავრესად, მიაყენა

საქართველოს ესეთი თავზარ დამცემი ზარალი.

დელლავალლე დიდის გულშემატკივრობით ამბობს: „ქართველები დიდს ომს გადაიხდიან ამ სახელმწიფოს (სპარსეთის) დასაპყრობად, თუ კი საერთოდ იმოქმედებენ და ეყოლებათ მოთავეც. მაგრამ ამის ეჭვი მაქვს, რადგანაც ვიცი მათი ბუნებითი თავქარია ნობა“ (ივერია, 1879, №3, გვ 52).

ეს ასე რომ არ ყოფილიყო, საქართველოში რომ არათუ „ჰან-

*) საეკლ. მუზეუმი მეათე საუკ. წიგნი №45, ფასდაუდებელი შინაარსის მიხედვით, ოსმალთ ტყვეობიდამ გამოუსყიდნია (გვ. 102) ცნობილს დედოფალს მარიამს, როსტომის მეუღლეს; ამგვარივე შესანიშნავი ძეგლი ალაშკერტის ეპისკოპოსის ზაქარიასი სპარსთა ტყვეობიდამ გამოუსყიდნიათ სხვებს. რამდენი დაიღუპა სხვა, მარტო ღმერთმა იცის.

ნიბალები“; გმირები და რიგიანი სარდლები, არამედ უბრალო თევდორე მღვდლის კვალითელისთანა კაცები ყოფილიყვნენ. ყაენს აბაზს გულს გაუგმირავდენ და სისხლის მორევებს არ დააყენებდნენ საქართველოში, მასთან ნადიმად არ დასხდებოდნენ, მისს „ჯაშუშობას“ იუკადრისებდნენ, მისგან გუდებით ოქროს საჩუქრად არ მიიღებდნენ, მას იქვე წაახჩობდნენ. ან და ჰანნიბალივით ლაშქარს შეჰყრიდნენ, მიუხტებოდნენ მტერს და კაკალს თავზე დაამტვრევდნენ ან გმირულად დაიხოცებოდნენ. ჩვენი „ჰანნიბალები“ ოთოთაანთ ქორივით უფრო შინაურობაში იმარჯვებდნენ, ერთურთის სისხლს ღვრიდნენ უწყალოდ, გარედამ მოსულს მტერს ხელს უმართავდნენ, სამშობლოს გზა-კვალს ასწავლიდნენ, აქეთკენ მოუძღვებოდნენ. საფარფაშა ქართველობიდამ გამოვარდნილიყო, ხონთქრის ყმად გამხდარიყო ორთუღიან ფაშობისთვის, იქაურ ეკლესიებს ანგრევინებდა, ქართველ კაცსა დედაკაცს ძალათ ამაჰმადიანებდა და ამისთანა გარდეგილის ლაშქარი ჩვენებურს „ჰანნიბალს“ მოჰყავდა ბაზალეთში ქართველებთან საბრძოლად და, წარმოიდგინეთ, თურმე საქართველოს გასაერთიანებლადაც(??). აი იწილო ბიწილო ეს არის სწორედ...

კახეთის აკლების სუთი წლს წინად ამ ქვეყანას ჰყვანდა 60,000 მეომარი (რუსის ელჩების ჩვენება ბელოკუროვის წიგნში, გვ. 487). ორი და სამი ამდენი მოგროვდებოდა საქართველოს დანარჩენ ნაწილებიდამ. გიორგი ბრწყინვალისებრ ან დავით აღმაშენებელისებრ სარდლების ხელში ორას-ათასამდე ქართველი მეომარი მთელს სასწაულებს მოახდენდა წინა აზიაში, საცა მაშინ გაჩაღებულ იყო სიკვდილ-სასიცოცხლო ბრძოლა სპარსთა და ოსმალთა შორის. შეერთების მაგიერ ჩვენი სარდლები გარბოდნენ სპარსეთს, საცა ცბიერ შაჰს აბაზს უკვე 30,000 ქართველი ემსახურებოდა ყმურად, ყულად *) გიორგი სააკაძის ძმისწულის როსტომ ბეჟანის ძის და

*) სპარსეთში მყოფ ქართველების შესახებ არაქელი ამბობს: „ქრისტესით 1651 წელს, როდესაც ეს მოთხრობა დავწეროთ, ის ქართველები ყოველნივე უკუ-იქცნენ თავიანთის სარწმუნოებისაგან და მიიქცნენ მაჰმადის სჯულსა ზედა და ესოდენ მტარვალნი შეიქმნენ ქრისტიანეთა ზედა, რომ ოდეს შეგვემთხვეოდნენ ჩვენ სადმე გზასა ზედა, ჩვენს

ხოსრო ბაგრატიონის (შემდეგ როსტომ მეფის) მთავარ-სარდლობით. ყველა ამათ რომ გაეთვალისწინებინათ ღვიძლი საშშობლოს კეთილ-დღეობა, თანხმობით ემოქმედნათ სამშობლოში დარჩენილ ძალებთან ერთად, ასი მოურავიც ვერ გაათელინებდა კახეთს, საქართველოს შარავანდედიც სსვა გვარ იბრწყინებდა, სხვაგვარი ფასი დაედებოდა მას მაშინდელ მეზობელ ხალხთა თვალში.

ვიმეორებთ, მკსინვარების შავ ბნელ დროის მოღალატეობის მონაწილედ ერთი-ორი ვინმე კი არა ჩანს, არამედ მთელი კუნჭულ-კუთხეები, რომელნიც ამა თუ იმ ხელჯოხიანს ჯოხს კი არ ალეწავ-დნენ ზურგზე, არამედ მხარს უჭერდნენ განდეგილობაში და ხში-რად, ქართველობიდამა და მამა-პაპათა სარწმუნოებიდგან გამოვარდნა-ში, ბრალს ვდებთ არა ვისმე ივანეს, პეტრეს, მამუკას, არა თავადს აზნაურს, გლეხს, არამედ თვითონ ქართველს, რომელმაც მრავალ საუკუნეთა განმავლობაში ვერ შეიგნო მნიშვნელობა თქმისა: თანხმო-ბა – ძლიერებაა, უთანხმოება – სიძაბუნე, ხრწნილება.

ვასრულებ ღვთივ-განსვენებულ ილია ჭავჭავაძის სიტყვებით:

„აგვიყოლია სიყრმიდანვე ჩვენ ქართვლის ბედმა
და დაე გვზრახონ, – ჩვენ მის ზრახვით დავლიოთ დღენი...
ჩემზედ ამბობენ: „ის სიავეს ქართველისას ამბობს,
ჩვენს ცუდს არ მალავს, – ეგ ცხადი სიძულვილია!“

სიძულვილი კი არა, სიყვარულშია. თუ ავს ავი არ ვუთხარით, კარგიც გაგვიავდება. ისტორია ჭეშმარიტებაა და არა ზღაპართმეტ-ყველება. ჟამთა აღმწერელობა, როგორც თავშივე იყო ნათქვამი, ჭეშ-მარიტების მეტყველება არს და არათუ თვალხმა ვისთვისმე.

1912 წ. 7 მაისს. **მ. ჯანაშვილი.**

გამარჯვების თქმას მშვიდობისასა არ მიიღებდნენ ხოლმე, არამედ გმო-ბით და შეურაცხყოფით იხსენიებდნენ მამათა და წინაპართა თვისთა, რა-მეთუ იგინი ურწმუნონი იყვნენო და ურწმუნოებაში დაიხოცნენო, ხოლო თავიანთ ახალს სარწმუნოებაზედ ღმერთს ჰმადლობდნენ, რამეთუ ესე არსო ჭეშმარიტი სარწმუნოება, რომელიც აწ მივიღეთო“.